ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 1 ივნისი, 2021 №96 (8625) ფასი: 60 თეთრი

„ქმარმა იეჭვიანა, ურემში ხარივით შემაბა და ნაკელი მაზიდვინა“

გვ.5

მძიმე საქმის დეტალები

გვ.5

31 მაისს პოლიციელის პროფესიული დღე აღინიშნა

„კობახიძე პოლიტიკაში უკანასკნელ დღეებს ითვლის“

გვ.3

გვ.2

სოსო ცინცაძე: „გახარიას გამოჩენა პოლიტიკურ ველზე ოპოზიციასაც უნდა აწყობდეს“

გიორგი გახარია: „ბიძინა ივანიშვილს დღეს არც ვაქებ და არც ვაძაგებ“

„20 ივნისს რისთვის ვაპროტესტებდით? ვალიარეთ 31 ოქტომბრის არჩევნები?“

გვ.2

გურამ ჩალაგაშვილი: „გირჩი“ ან ალეკო ელისაშვილი ასე მარტივად დათმობენ პარლამენტის სავარძელს და ვადამდელს მოინდომებენ?“

„ნაციონალებთან თანამშრომლობას ვაპირებ, მეგობრობას — არა“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „ოცნებისთვის“ ცეცხლის გახსნაზე საუბარი ადრეა“

გვ.3

გვ.4

„განიკნიკებულ“ საარჩევნო კოდექსს კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს“

მამუკა ტუსკაძე: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აუცილებლად უნდა დაწესდეს კვალიფიციურობის დამადასტურებელი რაღაც ბარიერი – 1, 2 ან 3%“

გვ.4

„ნაციონალების პარლამენტში შესვლას პლუსებიც ახლავს და მინუსებიც“

თამარ ჩხეიძე: „ეჭვი არ მეპარება, რომ გახარიას ახალი პარტია რუსეთის პროექტია“

ISSN 1987-9385

5 გერმანულის ნაცვლად, ჩინური ტუმბოები დააყენა და 15.150 ლარი მიითვისა

6 ნეთანიაჰუ: „ბენეტი თაღლითია, მემარცხენე მთავრობა ისრაელისთვის სახიფათო იქნება“

5 სადეზინფექციო საშუალებების ფალსიფიკაციის ფაქტები გამოავლინეს

6 ქურდებმა უძველესი ცისე-სიმაგრიდან მილიონის ძვირფასეულობა გაიტაცეს

„20 ივნისს რისთვის ვაპროტესტებდით? ვაღიარეთ 31 ოქტომბრის არჩევნები?“

გურამ ჩალაგაშვილი: „გირჩი“ ან ალეკო ელისაშვილი ასე მარტივად დათმობენ პარლამენტის სავარძელს და ვადამდელს მოინდომებენ?“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს გურამ ჩალაგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, როგორია თქვენი შეფასებები ბოლო პერიოდის პოლიტიკური პროცესების მიმართ? ნაციონალურმა მოძრაობამ როგორც იქნა გადაწყვიტა და პარლამენტში შევიდნენ. რამდენად სწორი იყო მათი გადაწყვეტილება?

– ჩემი აზრით, ეს არასწორი იყო და საბოლოო ჯამში ეს შედეგი არასასურველია, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ასეა. არ მინდა ვინმემ ისე გამიგოს, რომ მარგინალობისკენ მოვუწოდებ ვინმეს. თუმცა, სამწუხაროდ, თავიდანვე, მოლაპარაკების მიმდინარეობისას, რაღაცა არასწორი პოზიციების დაკავებამ მიგვიყვანა ამ შედეგამდე, რა შედეგამდეც მივედით. ამით გამოჩნდა ერთი რამ, 20-მა ივნისმა და 20 ივნისს რაც მოხდა, ყველაფერმა ამან ვითომც არაფერი, ისე ჩაიარა. კვალი დატოვა მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებზე, რომლებმაც დაკარგეს თვალი და მიიღეს სხვადასხვა დაზიანება.

– ანუ ყველამ დაივიწყა ის მთავარი მიზეზი, 20 ივნისი, რისთვისაც ბოიკოტი იმართებოდა?

– ფაქტი არის ერთი, ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ გაყალბებული არჩევნები ჩატარებულიყო ხელახლა და საბოლოო ჯამში მივიღეთ რა, მივიღეთ ის, რომ ყველა უკლებლივ, შალვა ნათელაშვილის და ელენე ხოშტარიას გარდა, შევიდნენ პარლამენტში. ანუ რა გამოდის, ამით ვაღიარეთ 31 ოქტომბრის არჩევნები? თუ არ ვაღიარეთ? მე ვერ ვხვდები, სიმართლე გითხრათ. თუ არის ბოიკოტი, უნდა ყოფილიყო ბოიკოტი.

– ჩვენი ამომრჩეველი ითხოვდა, რომ უნდა შევსულიყავითო.

– მე მესმის, მათ ჰქონდათ არაერთი შეხვედრა, დადიოდნენ რეგიონებში, ყველა ადამიანს აქვს თავისი მოსაზრება, ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. იყვნენ მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. თუმცა, გუშინ, მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათი გადაწყვეტილება არასწორია და არ უნდა შესულიყვნენ.

– ბოლომდე გარედან უნდა ებრძოლათ? ყველაფერმა აზრი დაკარგა, რაც აქამდე გააკეთეთ?

– ასეა. რისთვის ვიდექით, 20 ივნისს რისთვის ვაპროტესტებდით? რისთვის დაკარგეს ამ ადამიანებმა თვალები? რისთვის ისხდნენ ამის შემდეგ ადამიანები ციხეში? რისთვის იჯდა ოქრუაშვილი? თუნდაც, რატომ იჯდა ნიკა მელია? თუ საბოლოო ჯამში ეს შედეგი უნდა მიგვეღო და ასე უნდა დასრულებულიყო ეს ყველაფერი. შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს რასაცა ვამბობ, მაგრამ ასეა.

– რისთვის ისხდნენ ციხეშიო და საუბარია, რომ დაჭერების ახალი სერია დაიწყებაო. ამ დღეებში ოქრუაშვილის პროცესიც განახლდება, არც მელიას საქმე დასრულებულა, ამაზე რას იტყვით? ყოველი არჩევნების წინ პროცესები უნდა იყოს?

– მეც სწორედ მაგას ვამბობ, „ქართულ ოცნებას“, მათი აზრით, ძალიან კარგი ხერხი აქვს შერჩეული, მოახლოვდება თუ არა არჩევნები, დაიჭერენ კონკრეტულ პოლიტიკოსებს, ოპოზიცია შეიკრიბება და ეს სწორიც არის, რომ ტყუილად დაპატიმრებულ ადამიანს გვერდით უნდა დაუდგე. მერე მიდის დავა, რატომ დაიჭირეთ, არასწორად არის დაკავებული და ასე შემდეგ. საბოლოო ჯამში მივდივართ იქამდე, რომ ამ პროცესში ერთვება დასავლეთი, ვსხდებით მოლაპარაკების მაგიდასთან, გრძელდება ეს ყველაფერი თვეები და ბოლოს გამოდის ის, რომ...

– მაინც „ოცნება“ რჩება მოგებული?

– კი, ასეა. ათავისუფლებენ ამ ადამიანებს, მაგრამ ამ განთავისუფლებაში გაცილებით მეტი რაღაც მიაქვთ. მათთვის ეს ჩვეულებრივ სავაჭრო თემაა. მე მართლა არ გამოვრიცხავ, რომ ხვალ, ზეგ ვიღაც ისევ დაიჭირონ და მერე ივაჭრონ. ეს რომ აღარ მოხდეს და დასრულდეს ეს ყველაფერი, ამას სჭირდება ერთიანობა. ვერანაირად ვერ მოვუგებთ ჩვენ „ოცნებას“ და ვერც გავუშვებთ. ვერანაირად ვერ მოვუგებთ „ოცნებას“ თუ ყველას არ ექნება ერთიანი და საღი აზრი.

– ფაქტია, რომ დღეს ეს ერთობა საბოლოოდ დაიშალა, წინ ადგილობრივი არჩევნებია. რა მოლოდინი გაქვთ? ბევრმა ისიც თქვა, რომ ერთიანი ოპოზიციური კანდიდატი არ უნდა და მელია სულ არ სჭირდება მერობის ერთიან კანდიდატად.

– კი ბატონო, ბევრმა თქვა ეს. ვერ გეტყვით, ხვალ და ზეგ რა იქნება. ფაქტია, რომ ერთიანობას შეექმნა პრობლემა. არის შანსი, რომ ეს პრობლემა გავიაზროთ და თავიდან გადავალაგოთ ყველაფერი, მაგრამ რა განწყობებსაც მე ვუყურებ სოციალურ ქსელში, ალბათ ძალიან გაგვიჭირდება ჩვენ ამომრჩეველს დავაჯეროთ, რომ ჩვენი ერთობა არის მყარი. სულ ასეთი კომენტარებია, რომ კარგად ბრძანდებოდეთ, მე და ჩემი ოჯახი თქვენ ხმას აღარ მოგცემთო.

– ანუ იმ პარტიებმა, ვინც პარლამენტში შევიდა, დაკარგა ამომრჩეველი?

– ვინც შევიდა, დაკარგა, ჩვენი პარტია არ დაკარგავს, რადგან ჩვენ არ გადაგვიდგამს ეს ნაბიჯი. დიდმა ოპოზიციურმა პარტიამ, ნაციონალურმა მოძრაობამ ბევრი ამომრჩეველი გაანაწყენა. ეს ადამიანები გახდებიან ინერტულები და აღარ მივლენ არჩევნებზე. სწორედ ეს არის „ოცნების“ სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტად დააზიანოს ოპოზიცია და დააკარგვინოს ამომრჩეველი.

– გათიშე და იბატონეს პრინციპია?

– ზუსტად ასეა. ცდილობს უნდობლობის სინდრომი შექმნას და ადამიანები აღარ მიდიან არჩევნებზე. შესაბამისად, თუ არ მივა ბევრი ამომრჩეველი, მოგებული ისევ ხელისუფლება დარჩება. ძალიან მარტივად შეძლებს „ოცნება“ იგივე პროცენტები დაიწეროს. ან ეს ოპოზიციური პარტიები რომ გამოდიან და ამბობენ, იცით, ჩვენ მივიღებთ გაწიკწიკებულ საარჩევნო კოდექსს, საარჩევნო რეფორმას, ამის ხომ ბავშვსაც აღარ სჯერა. რა გგონიათ, ოპოზიციისთვის ერთი მოადგილის მიცემით რამეს შეცვლიან?! გავკადნიერდები და საქართველოში ამ არჩევნების სისტემა სამმა კაცმა თუ იცის კარგად, მათ შორის ერთი მე ვარ. თუ რა ხდება და როგორ ხდება, ყველაფერი დეტალურად ვიცი. წარმოუდგენელია, რომ იქ ერთმა ადამიანმა, ერთმა მოადგილემ, ოპოზიციის წარმომადგენელმა ამ სისტემაში რამე შეცვალოს. მოადგილეებს არასოდეს არ ჰქონიათ არანაირი ფუნქცია და არც ახლა ექნებათ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ერთი მოადგილით და ერთი ადამიანით შეძლებენ გააკონტროლონ მთელი ადმინისტრაცია და საარჩევნო პროცესი, მართლა ძალიან შემცდარან. „ქართული ოცნება“ ისევ ისე დაჯდება და დაიწერს იმდენ პროცენტს, რამდენიც გაუხარდებათ. აი მერე რას შვრება ეს ოპოზიცია? მერე ისევ გამოდიან პარლამენტიდან?! თუ რას იზამენ? ამასობაში გავა დრო და იტყვიან, რაღა დარჩა, დავიცადოთ შემდეგ არჩევნებამდეო. ვინმეს ჰგონია, რომ „გირჩი“ ან ალეკო ელისაშვილი ასე მარტივად დათმობენ პარლამენტის სავარძელს და ვადამდელს მოინდომებენ, მათ მეორედ იქ შესვლის შანსი ხომ აღარა აქვთ?!

– ბატონო გურამ, გასული კვირის მიწურულს, გიორგი გახარიამ ახალი პარტიაა დააფუძნა. დიდი მოლოდინი იყო საზოგადოებაში ამასთან დაკავშირებით. უამრავი შეფასება მოვისმინეთ. ბევრი ფიქრობს, რომ ის ივანიშვილის პროექტია. რას იტყვით თქვენ?

– რა გითხრათ აბა. უბრალოდ მიჭირს იმის დაჯერება, რომ გახარია და მისი პარტია რეალური ოპოზიცია იქნება. რთულია ამის დაჯერება. მინდა წარმატება ვუსურვო ყველას, ვისაც ამ ქვეყნის წარმატებაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ ვიდრე გახარიას პრეტენზია ექნება ოპოზიციონერობაზე, მანამდე ამ ადამიანმა უამრავ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. რატომ არ აკრიტიკებს გახარია ივანიშვილს და თუ მოსწონდა, მაშინ რატომ არ არის დღეს მის გვერდით?! ყველაზე მთავარი კი 20 ივნისი. 20 ივნისზე უნდა გაგვცეს ამ ადამიანმა პასუხი და უნდა გვითხრას, რომ ან მან გასცა ეს ბრძანება და დასთხარა თვალები ამ ადამიანებს, ან უნდა თქვას, რომ მისთვის არაფერი უკითხავთ და ბრძანების გამცემი სხვა იყო.

– თქვენ მას რეალურ ოპოზიციად არ თვლით?

– არა, ვერ ჩავთვლი, ვერანაირად.

გიორგი გახარია: „ბიძინა ივანიშვილს დღეს არც ვაქებ და არც ვაძაგებ“

„ასე საყოველთაო ბოდიშის მოხდისთვის დღეს, ახლა, ამ წუთას, მზად არ ვარ“ – ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ გიორგი გახარიამ განაცხადა.

როგორც გახარიამ აღნიშნა, ის ოპოზიციონერი პოლიტიკოსად თავს უფრო კომფორტულად გრძნობს.

– პირველ რიგში, გამოვედი პრემიერ-მინისტრის როლიდან, უაღრესად კომფორტულად ვგრძნობ თავს, თავისუფლების მაღალი ხარისხით, უფრო პერსონალიზირებული და უფრო ფოკუსირებული პასუხისმგებლობის გრძნობით და კიდევ ბევრი სხვა დამატებითი პლუსია ამ ყველაფერში. თუმცა, რა თქმა უნდა, ის შესაძლებლობები, რომელსაც გაძლევს პრემიერმინისტრობა, უაღრესად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როცა გაქვს სურვილი, რომ ეს შესაძლებლობა გამოიყენო მაქსიმალურად ეფექტურად, რაც ხან გამოგვდიოდა და ხან არ გამოგვდიოდა.

რაც შეეხება ბოდიშს, ბოდიშის მოხდას აზრი აქვს მაშინ, როცა ის არის გააზრებული და არის კონკრეტულ ფასეულობებთან დაკავშირებით. მე არ ვარ ადამიანი, რომელიც ბოდიშს იხდის. მაშინ ეს ბოდიში იყო აბსოლუტურად გააზრებული და აბსოლუტურად ფასეულობებზე დაყრდნობითი. ასე საყოველთაო ბოდიშის მოხდისთვის დღეს, ახლა, ამ წუთას მზად არ ვარ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ცოტა უფრო მეტი დრო რომ გვქონდეს, ასეთ მიზეზებს ვიპოვნიდი, – განაცხადა გახარიამ.

როგორც გახარიამ განმარტა, ბიძინა ივანიშვილზე „ჭორაობა“ არასწორი ჰგონია.

– ბიძინა ივანიშვილს, რომელიც პოლიტიკიდან წავიდა, ყოველ შემთხვევაში, ასე განაცხადა და რომელთან ერთადაც, მე ბოლო 7 წლის განმავლობაში ვმუშაობდი, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, ყველა ის წარმატება და წარუმატებლობა, რაშიც მონაწილეობა მიმიღია, მათ შორის, ჩემი პასუხისმგებლობაა, მე მას არც ვაქებ დღეს და არც ვაძაგებ, ეს ჩემი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხვალ, როცა ჩვენი ქვეყნის მომავალზე იქნება საუბარი, მე რაიმე კომპლექსი, ან შეზღუდვა მექნება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩემი პოზიცია ღიად დავაფიქსირო. ასეთი არ იქნება და ამის იმედი არავის არ უნდა ჰქონდეს. მე მესმის, რამდენ ადამიანს უნდა აქ მოსმენა ჭორაობების, მე ამას არ გავაკეთებ, იმიტომ, რომ ვთვლი, ეს არ არის სწორი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანმა თქვა, მე რაც შევძელი გავაკეთე და აღარ ვარ ამ პროცესის მონაწილეო, – განაცხადა გახარიამ.

მისივე თქმით, სანამ ქართულ პოლიტიკურ კულტურაში არ დასრულდება, რომ გამარჯვება შენი ოპონენტის განადგურებას ნიშნავს, „ჩვენ ვიქნებით აი, ასე“.

– მე როდესაც ვამბობ: რადიკალურ პოლიტიკურ პარტიებთან არ ვითანამშრომლებ, ეს ნიშნავს იმას, რომ რადიკალურ პარტიებთან არ ვითანამშრომლებ. კონკრეტული პარტიების დასახელება არ მინდა. ახლა გეტყვით, რა არის რადიკალური პარტია, სანამ ქართულ პოლიტიკურ კულტურაში არ დასრულდება, რომ გამარჯვება შენი ოპონენტის განადგურებას ნიშნავს, ჩვენ ვიქნებით აი, ასე. არ უნდა იყოს, მაგალითად, ძველი, ან ახალი პოლიტიკური პარტიის სურვილი, რომ „ქართული ოცნება“ განადგურდეს, ვერ გაანადგურებენ. „ქართული ოცნების“ პრობლემა ის კი არ არის, რომ ის უნდა დასრულდეს, ან განადგურდეს არა, ის უნდა განვითარდეს, ისევე, როგორც სხვა პარტიები.

სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ რადიკალიზაციის პროცესი დღეს სახეზეა. „ქართულ ოცნებაში“ დღეს რაც ხდება, ხდება ის, რომ აცხადებს: არიან ან ჩემიანები, ან მტერია. რა თქმა უნდა, ეს რადიკალიზაციაა, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

კითხვაზე, თვლის თუ არა, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გაჩერებამ ქვეყნის ინტერესების მნიშვნელოვანი დაზიანება გამოიწვია და შეეძლო თუ არა მას, რაიმე გაგეკეთებინა იმისთვის, რომ ანაკლიის პორტი არ გაჩერებულიყო, გახარია პასუხობს, რომ „კერძო ინვესტორმა ვალდებულებები ვერ შეასრულა“.

– ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი ამ ქვეყანაში უნდა აშენდეს, სამწუხაროა, რომ ის პროექტი ჩაიშალა. ამ პროექტის ჩაშლის ძირითადი მიზანი უხარისხო ინვესტორი იყო, რომელმაც თავისი ვალდებულებები ვერ შეასრულა, ეს სიმართლეა, ეს ასეა. მე მაშინაც სიმართლეს ვამბობდი, ეს ობიექტური რეალობაა, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საინვესტიციო ხელშეკრულება რომ ნახოთ, რამდენჯერ არის შეცვლილი, რა იყო მისი საწყისი პირობები საერთაშორისო ტენდერის და რა გახდა ბოლოს, ეს ყველაფერი დანარჩენი ლირიკა და თავის მართლებაა. ფაქტია ერთადერთი, რომ კერძო ინვესტორმა თავისი ვალდებულებები ვერ შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერა დამატებით გაიზარდა 4-ჯერ თუ 5-ჯერ, არ მინდა ახლა ზუსტად აქ ციფრები, პროექტის დაწყების ეტაპი, საინვესტიციო კონტრაქტი დაახლოებით 10-ჯერ არის გადახედილი, რაც შეეძლო სახელმწიფოს, ყველაფერი გააკეთა და მამუკა ხაზარაძის ნაცვლად, სახელმწიფო პორტს ვერ ააშენებდა. თუმცა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ღრმაწყლოვანი პორტი საქართველოს სჭირდება და უნდა აშენდეს, – განაცხადა გახარიამ.

კითხვაზე, მას შემდეგ, რაც ის პრემიერ-მინისტრი აღარ არის, შეეცადა თუ არა, მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძისთვის აეხსნა, ე.წ. წერილი მისი გაგზავნილი რომ არ არის, გახარია პასუხობს, „როგორ უნდა აეხსნა, ან დაერწმუნებინა, როცა მას არ გაუგზავნია“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნაციონალებთან თანამშრომლობას ვაპირებ, მეგობრობას — არა“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „ოცნებისთვის“ ცეცხლის გახსნაზე საუბარი ადრეა“

იაგო ნაცვლიშვილი

ქვეყანა ახალ პოლიტიკურ რეალობაში გადავიდა, ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტია პარლამენტშია. მაშინ როდესაც, სულ ცოტა ხნის წინ, სხვებს ამუნათებდნენ, დღეს თავადაც პარლამენტში არიან. თავად ახალი პოლიტიკური რეალობით ხსნიან, სხვები კი პრინციპებს უწუნებენ. „გირჩი“ მათ საკანონმდებლო ორგანოში სათამაშო თოფებით დახვდა. ფანჯრიდან თოფებით მათი მისამართით წყალიც გადაასხეს.

რას ნიშნავდა მათი პერფორმანსი? როგორ აფასებს ენმ-ის გადაწყვეტილებას და რა სახის თანამშრომლობა იქნება ოპოზიციურ პარტიებს შორის? – აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი **ვახტანგ მეგრელიშვილი** საუბრობს.

– რა გითხრათ „ნაციონალური მოძრაობის“ გადაწყვეტილებამ პირადად თქვენ? თანაც ეს იმ ფონზე, როდესაც თავის დროზე, თქვენ როდესაც შეხვედით, მათგან მწვავე კრიტიკა დაიმსახურეთ.

– ზოგადად ჩვენ დარწმუნებულები ვიყავით, რომ პროცესი ასე დასრულდებოდა. იმ შეთანხმების შინაარსიც კი ბევრი თვით ადრე გვქონდა ნათქვამი, ვიდრე ევროკავშირის მედიაციით მოვახერხებდით ამას, რომ საერთო შეთანხმებისთვის მიგვეღწია. კი, უცნაური იყო, ჩვენ არასდროს არ გვესმოდა „ნაციონალური მოძრაობის“ მოტივაცია ამ პროცესში, როდესაც ჩვენ და მათ ურთიერთობებში იყო რაღაც გაუგებრობები, მაგრამ ამ ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანი მგონია, რომ მიუხედავად ამ ყველაფრისა, „ნაციონალური მოძრაობის“ 33 დეპუტატი პარლამენტის ბალანსს მნიშვნელოვნად შეცვლის.

– თქვენ თქვით, რომ ბევრად ადრე იცოდით შინაარსი. ანუ შეთანხმებულები ბევრად ადრე იყავით და მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობასაც“ გულისხმობთ თუ სხვა პარტიებს?

– მე ვიგულისხმე ის, რომ როგორ უნდა დასრულებულიყო პოლიტიკური კრიზისი და რა შეთანხმება შეიძლებოდა ყოფილიყო მიღწეული, ასევე ადგილობრივ არჩევნებზე მიბმა, ეს ჩვენ ნათქვამი გვქონდა. გახსოვთ, რომ ამაზე იყო დისკუსია ჩვენსა და კოლეგა ოპოზიციურ პარტიებს შორის.

მე იმას ვგულისხმობ, რომ რასაც ჩვენ ვფიქრობდით, ის თითქმის 100%-ით გამართლდა. შესაძლოა 100%-ით არა, მაგრამ იდეა თეორიულად ასეთი იყო. აქედან გამომდინარე მე ეგ ვიგულისხმე და არა სხვა რამე.

– ანუ, „გირჩის“ პოზიცია იგულისხმეთ?

– დიახ, ზუსტად „გირჩის“ პოზიცია ვიგულისხმე ამ მოლაპარაკებების პროცესში. ჩვენი და პროცესის შუამავლების – ევროკავშირის და ელჩების პოზიციები თითქმის ერთი ერთში ემთხვეოდა.

– როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ასეთ რადიკალურ პოზიციას იკავებდა პარლამენტში შესვლის საკითხზე, მაშინ თქვენ საიდან იცოდით, რომ საბოლოოდ შემოვიდოდა?

– იმიტომ, რომ ჩვენ ლოგიკურად ვერ ვხედავდით პოლიტიკური ბრძოლის სხვა შესაძლებლობას ქვეყანაში. ჩვენ ასე ვაფასებდით და ეს იყო ჩვენი პოლიტიკური პოზიცია. რადგან ვერ ვხედავდით სხვა გზას, შესაძლოა ცდებოდით, მაგრამ რადგანაც ვერ ვხედავდით სხვა შესაძლებლობას, ამას საჯაროდ ვამბობდით. როგორც აღმოჩნდა, მართლები აღმოვჩნდით.

– თქვენ ასე ხედავდით, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობაც“ ასე ხედავდა?

– არ ვიცი „ნაციონალური მოძრაობა“ რას ხედავდა. იმიტომ, რომ ჩვენი ურთიერთობების დროს ჩვენ შორის სრულფასოვანი გაგება ვერასდროს შედგა. ჩვენ ვეუბნებოდით ჩვენ პოზიციას, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობისგან“ გასაგები პასუხი არასდროს არ მიგვიღია. საბოლოო ჯამში დასრულდა ისე, როგორც დასრულდა.

– ენმ პარლამენტში კი შედის, მაგრამ ხელს არ აწერს მიშელის დოკუმენტს, ეს თქვენი შეფასებით რას ნიშნავს?

– ჩემი შეფასებით ეს იგივე სტრატეგიის რაღაცნაირი გაგრძელებაა, უცნაური სტრატეგიის, რომელიც მე კარგად არ მესმის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია მათი გადაწყვეტილება, რომ საპარლამენტო პროცესში ჩაერთონ. ეს არის ალტერნატივა ქუჩაში დარჩენის ნაცვლად და იდეაში პოლარიზაციის გაგრძელებისა. იმიტომ, რომ მთავარი მაპოლარიზებელი გარემოება იყო ერთპარტიული პარლამენტი. პარლამენტი ოპოზიციის გარეშე. დღეს ეს ფაქტორი აღარ არსებობს. მიუხედავად იმისა, მოაწერს თუ არა ხელს „ნაციონალური მოძრაობა“ იმ შეთანხმებას.

– ეს პროცესი პოლარიზაციის დასრულებას ხელს შეუწყობს?

– რა თქმა უნდა. მე დარწმუნებული ვარ, რომ საპარლამენტო ცხოვრება ბევრად ნაკლებად არის მწვავე, ვიდრე ქუჩით დაპირისპირება. ქუჩა იყო ერთადერთი დარჩენილი გზა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ თუ ის ამ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა.

– თუმცა, ჩვენ მოვისმინეთ ირაკლი კობახიძისგან, რომ თუ გონივრულ ვადაში არ მოაწერენ ისინი ხელს, მაშინ სრულფასოვნად ვერ ჩაერთვებიან საპარლამენტო მუშაობაში, მათ შორის ვერ იქნებიან დელეგაციებში და ა. შ. ეთანხმებით კობახიძეს?

– სადღაც ლოგიკა არის ამაში. იმიტომ, რომ შეთანხმება იყო და გასაგებია ეს. ირაკლი კობახიძის განცხადებაში მე ლოგიკას ვხედავ, მაგრამ ეგ ნაწილი ბევრად უმნიშვნელოდ მიმაჩნია იმასთან შედარებით თუ როგორი იქნება რაოდენობრივად ყველაზე დიდი პარტიის მდგომარეობა წინასაარჩევნო კამპანიის დროს. ეს იქნება ქუჩაში თუ იქნება საპარლამენტო ცხოვრებაში.

– გარდა იმისა, რომ პოლარიზაციის დასრულებისკენ არის გადადგმული ნაბიჯი, კიდევ რა იცვლება რეალურად საპარლამენტო ცხოვრებაში და ქვეყნის ცხოვრებაში „ნაცმოძრაობის“ პარლამენტში დაბრუნებით?

– მეტი ლაპარაკი შეიძლება კონკრეტულ თემებზე, ნაცვლად იმისა, რომ „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის კონფლიქტზე. მთელი ჩვენი ბოლო პერიოდის განსახილველი თემა კონფლიქტი იყო ამ ორ ძალას შორის. ჩვენ დავიწყებული გვქონდა ცხოვრებისეული პრობლემები. მე უბრალოდ იმედი მაქვს, რომ თუ ეს მოიხსნება, მეტი შანსი გვაქვს ვილაპარაკოთ ეკონომიკაზე თუ განათლებაზე, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის წინ არის და კარვები აქვს გაშლილი.

– მათ შორის საგამოძიებო კომისიების შექმნაზეც? გაუხსნით ოპოზიცია ფრონტს „ოცნებას“ ერთობლივი ძალებით ახლა უკვე პარლამენტში?

– არა, თქვენ ვერ გამიგეთ. მე მათთან მეგობრობას კი არ ვაპირებ. მე ვსაუბრობ თანამშრომლობაზე.

– ეს ბუნებრივია. პოლიტიკაში მეგობრობა მე მგონი ნაკლებადაა. თანამშრომლობის კონტექსტიდან გამომდინარე გისვამთ კითხვას.

– მაგას არ ვგულისხმობ, რომ ეს იქნება რაღაცნაირად ფრონტი. მე ჯერჯერობით არც კი ვიცი, ახალი არჩევნებისთვის როგორი კონფიგურაცია იქნება ოპოზიციის შიგნით. განსაკუთრებით იმ ისტორიის გათვალისწინებით, რომელიც ჩვენ ბოლო თვეებში გავიარეთ. აქედან გამომდინარე „ქართულ ოცნებას“ ცეცხლს გავუხსნით თუ რას ვიზამთ, მაგაზე ჯერჯერობით ვერაფერს ვერ გეტყვით. მთავარი ის არის, რომ გამწვავებული დისკუსიის ნაცვლად, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს კოლეგებს კორიდორებში ვნახავთ და არა ქუჩაში.

– ერთგვარი პერფორმანსი გქონდათ, როდესაც სანუწაო თოფებით დახვდით კოლეგებს „ნაციონალური მოძრაობიდან“. ამით რის თქმა გინდოდათ?

– ჩემი აზრით, ეს იყო ნათელი და ცხადი მესიჯი. უბრალოდ არ შეიძლება ისეთი მოქცევა, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ ბოლო თვეების განმავლობაში იქცეოდა საკუთარ კოლეგებთან მიმართებით. ამის საჩვენებლად ჩვენ ამ მესიჯით ვაჩვენეთ, რას ნიშნავს თუ იგივე დამოკიდებულებით მოეპყრობიან მათ სხვა კოლეგები. რა თქმა უნდა, ფიზიკურად ჩვენ ამას არ გავაკეთებთ, მაგრამ თუნდაც სურათის გადაღებამაც იგივე ეფექტი გამოიღო.

„კობახიძე პოლიტიკაში უკანასკნელ დღეებს ითვლის“

სოსო ცინცაძე: „გახარიას გამოჩენა პოლიტიკურ ველზე ოპოზიციასაც უნდა აწყობდეს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, რამდენად შესაძლებელია ირაკლი კობახიძის განცხადება სისრულეში მოვიდეს? ვგულისხმობ „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ გაკეთებულ განცხადებას, რომ ისინი სანამ მიშელის დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ, საპარლამენტო საქმიანობაში სრულად ვერ ჩაერთვებიან.

– „ნაციონალური მოძრობა“ პარლამენტში უნდა შესულიყო. როგორც კი დაირღვა ოპოზიციის ერთიანობა, ბოიკოტმა რეალური ძალა დაკარგა. ამის შემდეგ ყველაფერი მხოლოდ მანიპულაციის ნაწილი იყო.

მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე სახელმწიფოში, ყოველგვარი იწილო-ბიწილოს გარეშე, მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ რადგან საქართველოში ხდება ეს ყველაფერი, სადაც გონიერ პოლიტიკოსებზე მეტი ელისაშვილები არიან, ასეთ გარემოში, ცხადია, „ნაციონალებს“ სახის შენარჩუნება სჭირდებოდათ. ამას ემსახურებოდა კიევში ვიზიტი, გამოკითხვები, ლამის რეფერენდუმი და ა.შ. რაც შეეხება მიშელის დოკუმენტზე ხელის არ მოწერას, ეს საზოგადოებრივი აზრისთვის ერთგვარი ხარკის გადახდაა.

– წინააღმდეგობას ხედავთ?

– რასაკვირველია. თუმცა, ეს წინააღმდეგობა მოჩვენებითია, ვიდრე რეალური, რადგან პარტია პარლამენტში შევიდა, გადაწყვეტილება მიღებულია. რაც შეეხება ირაკლი კობახიძის განცხადებას, აქ ყველაფერი ნათელია. პარლამენტის წევრობა, პრივილეგიები და ა.შ. ქვეყანაში კონსტიტუციითა განსაზღვრული და არა კობახიძის განცხადებებით.

სიმართლე გითხრათ, ისეთი განცდა მრჩება, რომ კობახიძე პოლიტიკაში უკანასკნელ დღეებს ითვლის. ახლა მისი ამოცანაა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გახდეს. კობახიძე, რაც არ უნდა იყოს, თუნდაც ნობელის კომიტეტმა გადაწყვიტოს, რომ ნობელის პრემია მიანიჭოს მშვიდობის დარგში ან შერიგების დარგში, გამოდის, რომ ის გაგდებულია.

– რატომ?

– მან თავისი ფუნქცია ამოწურა. პოლიტიკური კარიერის მიწურულს არის. უნიჭო და გაუნათლებელი ნამდვილად არ არის. ახალგაზრდა კაცია. სხვა პირობებში, ქვეყნისთვის უკეთესი სამსახურის გაწევა შეეძლო. ამიტომ, შინაგანი გაღიზიანება იგრძნობა. შეუძლებელია, რომ არ ჰქონდეს. ბოლოს და ბოლოს, 20 ივნისის საქმეში მას არავითარი პირადი ბრალი არ მიუძღვის. საქართველოში არც იმყოფებოდა, ვიზიტით იყო. მიუხედავად ამისა, თანამდებობის დატოვება მოუწია. მერე ბევრი პოლიტიკური, კულუარული პროცესის საკუთარ თავზე აღება მოუწია. როგორც ჩანს, ამ ყველაფერმა შინაგანად გააღიზიანა.

– საინტერესო განცხადებები ჰქონდა გახარიაზე. სააკაშვილის თამაში ითამაშა. 90 დეპუტატს არწმუნებდა მელიასთვის იმუნიტეტის მოხსნაში და ა.შ.

– ისე დაკარგა წონასწორობა, რომ ამბობს – გახარია სააკაშვილის პროექტია. ცოტა ხანში ალბათ იტყვის – არა, ნათელაშვილის პროექტია! თუმცა, ამას უკვე არავინ არ დაუჯერებს. გვითხრა, გახარიამ გაგვაბრიყვა, მელიასთვის იმუნიტეტი მოგვახსნევინა და ახლა თვითონ კარგი ბიჭი გამოვიდაო, მაგრამ ამას ვინ დაუჯერებს?!

– საფრთხეს ხედავს გახარიაში?

– დიახ. ეს უკვე „ქართული ოცნების“ ამომრჩევლისთვის გაკეთებული განცხადებაა. ისე არ გაბრიყვდეთ, რომ სააკაშვილის პროექტს დაუჭიროთ მხარი. გახარიას პოლიტიკაში დაბრუნება დამოკლეს მახვილია „ქართული ოცნებისთვის“. არავითარ შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობისთვის“, „ლელოსთვის“ და კიდევ სხვებისთვის.

– გიორგი გახარია უფრო „ოცნების“ თამაშს ითამაშებს თუ ოპოზიციის? ვის უფრო აწყობს მისი პოლიტიკურ ველზე გამოჩენა?

– გახარიას გამოჩენა პოლიტიკურ ველზე ოპოზიციასაც უნდა აწყობდეს, რომ რაც შეიძლება ხელისუფლების დიდი ნაწილი ჩამოაჭრას „ოცნებას“ და ვადამდელი არჩევნები აუცილებელი გახდეს. ვადამდელმა არჩევნებმა კი კოალიციური მთავრობა უნდა მოიტანოს. ეს უნდა იყოს დღეს ყველას მიზანი. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება „ქართული ოცნების“ მიზანი, რაც სრულიად ბუნებრივია.

ქვეყანაში შექმნილი რეალობიდან გამომდინარე, ერთადერთი გამოსავალი კოალიციური მმართველობაა. სხვა გამოსავალი, უბრალოდ, არ არსებობს. სკეპტიკოსებისთვის, ვინც ამბობს ძლიერი ხელი, ძლიერი პარტია სჭირდება ჩვენნაირ პატარა ქვეყანას, მათთვის კი ისრაელის მაგალითს მოვიყვან. ქვეყანას, რომელიც ყოველდღე საომარ მოქმედებებშია, ერთი წუთითაც არ უფიქრია დემოკრატიულ მმართველობაზე ეთქვა უარი.

ოთხი არჩევნები ჩატარდა ორ წელიწადში და რა მერე?! ვერ დაამარცხა კოვიდინფექცია თუ ვერ გაზარდა ეკონომიკა?! თან მუდმივ საომარ პირობებში ცხოვრობს სახელმწიფო. ამიტომ, ვისაც უნდა რეალურად ქვეყნის დემოკრატიული მმართველობა, მისთვის არავითარი წინააღმდეგობა საამისოდ, უბრალოდ, არ არსებობს. მთავრობა, რომელიც ამბობს – ომში ვართ და ცოტა ხანი ადამიანის უფლებების დამცველი ესა თუ ის მუხლი შევაჩეროთ, მას არ უნდა ქვეყნის დემოკრატიული წესებით მართვა. კოალიციური მთავრობა შეიძლება ერთ-ერთი ნაბიჯი იყოს ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით გადადგმული.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„ნაციონალების პარლამენტში შესვლას პლუსებიც ახლავს და მინუსებიც“

თამარ ჩხეიძე: „ეჭვი არ მეპარება, რომ გახარიას ახალი პარტია რუსეთის პროექტია“

მარიამ მჭედლიშვილი

პარლამენტში შესულ ნაციონალურ მოძრაობაზე, ნამახვანჰესის საწინააღმდეგო პროტესტსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს, **თამარ ჩხეიძეს.**

– თქვენ არ ურჩევდით ნაციონალურ მოძრაობას, დათანხმებოდა ამნისტიას 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებზე. პარტიამ პარლამენტში შესვლა გადაწყვიტა, თუმცა, ამნისტიას და მთლიანად „მიშელის მემორანდუმს“ არ უერთდება.

– პარლამენტში შესვლის საკითხით დავიწყებ. ეს მოხდა განსხვავებულ სიტუაციაში. სხვა ოპოზიცია პარლამენტში უდროოდ შევიდა. ამით დაირღვა ერთიანობა და გამოცხადებულმა ბოიკოტმა დაკარგა ადრინდელი სახე. ნაციონალების პარლამენტში შესვლას პლუსებიც ახლავს და მინუსებიც. რომელი გადაწონის, ამას დრო გვიჩვენებს. კარგი იქნება, თუ აქტიურები იქნებიან და შეძლებენ ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის იმედგაცრუების დაძლევას. სწორია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ ემხრობა ამნისტიას და მიშელის დოკუმენტს. იქ, 20 ივნისის ამნისტიის გარდა, ნაჩქარევად შევიდა ზოგიერთი საკითხი. კარგი იქნებოდა მათი გასწორება და შეცვლა, რაც ვერ მოხდა.

– ამნისტიის თემაზე შეთანხმება ვერც მოხერხდა.

– არც ერთი კანონპროექტი ამნისტიაზე არ არის მისაღები. ნაადრევად შესული ოპოზიციის კანონპროექტიც მიუღებელია, ვინაიდან, ფაქტობრივად ათანაბრებს სისხლიანი დარბევის ორგანიზატორების, მათი დავალების შემსრულებლების დანაშაულს უდანაშაულო ადამიანებისთვის წარდგენილ ბრალდებებთან. ნაციონალური მოძრაობა იმუშავებს პარლამენტში და ამაზე იქნება დამოკიდებული, პარლამენტში შესვლის შემდეგ პლუსები გადაწონის თუ მინუსები.

– რომელ საკითხებზე უნდა იაქტიურონ ნაციონალებმა?

– ყველა აქტუალურ საკითხზე. ყველას ჩამოთვალა შორს წაგვიყვანს. მნიშვნელოვანია არჩევნებისათვის მზადება, ამ სფეროში კანონების მიღება და ნორმალური საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება. არჩევნებისთვის მზადება ადრე იწყება და ყურადღება უნდა მიექცეს ხალხის განწყობის ამაღლებას, მისი იმედგაცრუების დაძლევას. საზოგადოებამ ნაციონალური მოძრაობა და სხვები არ უნდა გააიგივოს ერთობის დამრღვევ და პარლამენტში ნაადრევად შესულ ძალებთან. ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება აქტიურობა ნამახვანჰესის პრობლემაზე. მესმის, რომ რიონის ხეობის დამცველები ემიჯნებიან პარტიებს, მაგრამ ამ საკითხზე პოზიციის გამოხატვა რატომ იკრძალება?! რატომღაც ოპოზიციის ნაწილში გავრცელებულია ისეთი შეხედულება, რომ ნებისმიერი კრიტიკა ამ თემაზე არის გამოსვლა უცხოური ინვესტიციების და კერძო საკუთრების წინააღმდეგ. ეს დიდი შეცდომაა. იმის თქმა, რომ ნებისმიერი უცხოური ინვესტიცია ქვეყნისთვის აუცილებელია და ნამახვანის მსგავსი პროექტების გაკრიტიკება არ შეიძლება, უკეთეს შემთხვევაში, პრიმიტივიზმია. შესაძლოა, ზოგჯერ არაჯანსაღ დაინტერესებასთანაც გვქონდეს საქმე. ყველა ადამიანს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული მოსაზრება სხვადასხვა პროექტზე.

– საუბარია კონკრეტულ პროექტზე და არა უცხოური ინვესტიციების მიუღებლობაზე?

– რასაკვირველია. ყველა პროექტი დეტალურად უნდა იყოს შესწავლილი. კარგს გზა უნდა გაეხსნას, ცუდს – დაეკეტოს. სიტყვაზე, ვინმეს რომ მოუნდეს ინვესტიციის დაბანდება იმაში, რომ ქვეყანაში გამოსცადოს ატომური ბომბი, ეს უნდა მივიღოთ?! შემთხვევას გააჩნია. არ მიმაჩნია სწორად, საერთოდ აიკრძალოს მიწის რომელიმე მონაკვეთის უცხოელზე გაყიდვა, თუმცა, აუცილებელია რეგულაციები. განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ასეთი რეგულაციები მოქმედებს. მოვიძიე ინფორმაცია და გავარკვიე, რომ გიგანტური ჰესები მსოფლიოში პოპულარული აღარ არის. ლაშა ბუღაძემ გაავრცელა ინფორმაცია იმაზე, რომ აშშ-ში მოხდა რამდენიმე დიდი ჰესის დემონტაჟი. მათგან მიყენებული ეკოლოგიური ზარალი უზარმაზარია. ჩვენ ისედაც გვაქვს დიდი და საშუალო ჰესები. ჯობია, ჯერ მათ მივხედოთ. რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთს ვაძლევთ ენგურზე გამომუშავებული ენერგიის დიდ ნაწილს. სამართავი ბერკეტები იქით მხარესაა, მაგრამ შეიძლება ამის ალტერნატივის მოძებნა ენგურის აქეთა მხარეს. ნამახვანჰესის მშენებლობის კონტრაქტი კაბალურია. ეს ჰესი აშენების შემთხვევაში ვერანაირ ენერგოდამოუკიდებლობას ვერ მოგვიტანს. კაბალურიც რომ არ იყოს და ენერგოდამოუკიდებლობაც რომ მოჰქონდეს, ნუთუ ეს ღირს ნახევარი საქართველოს წალეკვად?! ეს ჰესი ხომ ბოლოს მოუღებს ეკოსისტემას. ეკოლოგიური კატასტროფაც რომ არ მოხდეს, ბუნებას ზიანი ადგება. მაგალითად, გადაგვარდება იქაური ყურძნის უნიკალური ჯიშები. მცირემიწიან პატარა ქვეყანაში ასეთი ჰესები დაუშვებელია. მოსალოდნელი კატასტროფა ნიშნავს ქვეყნის გაწირვას. ზოგიერთი ოპოზიციონერისა გამკვირვებია.

– რას გულისხმობთ?

– ოპოზიციის ნაწილი ტაშს უკრავს ამ ჰესის მშენებლობას. ამ დროს ავიწყდება, რომ ივანიშვილის უკან „გაზპრომი“ და რუსეთი დგას. ეს ოპოზიცია რატომღაც არ საუბრობს ივანიშვილის ხელისუფლების კორუფციაზე, რომელიც არ მოსპობილა და არაჯანსაღ დაინტერესებაზე ამ პროექტში. სამაგიეროდ, ამბობს, რომ პროტესტს რუსეთი იწვევს. რუსეთს რომ ეს ჰესი არ აწყობდეს, საკმარისი იქნებოდა ერთი ზარი ივანიშვილთან.

– იქნებ, ქაოსი აწყობდა თუ აწყობს რუსეთს? ეს არ ნიშნავს, რომ პროტესტი გულწრფელი არ არის.

–ზოგადად ქაოსი აწყობს, მაგრამ ჰესის საწინააღმდეგო პროტესტი ქაოსში არ გადაიზრდება. გამოაგნებელია დამოკიდებულება პროტესტის მონაწილეებისადმი. არადა, ეს ადამიანები საერთო საქმისთვის იბრძვიან. ისინი ჩვენს საქმესაც აკეთებენ. ვის უნდა უნდოდეს ეკოლოგიური კატასტროფა? საქართველო მარტო თბილისი ხომ არ არის?! ეს გიგანტური ჰესი განადგურებით ემუქრება ადამიანებს, ძეგლებს, ბუნებას. არ მიმაჩნია სწორად, როცა რიონის ხეობის დამცველებზე ცუდს ამბობენ. იზიარებ თუ არა მათ შეხედულებებს ყველა საკითხზე, ამას რა მნიშვნელობა აქვს? ადექი და შენც დაიცავი ქვეყანა! ისიც არ იყო გამართლებული, როცა პროტესტის მონაწილეები სხვებს თავს დაესხნენ. მთლიანობაში, ჩვენ ამ ადამიანებს მადლობა უნდა ვუთხრათ.

– ახალი პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარია ამბობს, რომ არ ითანამშრომლებს რადიკალებთან. თქვენ რას იტყვით?

– გააჩნია, ვის როგორ ესმის ეს სიტყვა. ის, რაც ერთისთვის პრინციპულობაა, მეორესთვის არის რადიკალიზმი. მთავარია, რამდენად გულწრფელია ყოფილი პრემიერი. მე გახარიას გულწრფელობისა არ მჯერა. მართალია, მთავარი პასუხისმგებელი ბოლო წლებში მომხდარ სისაძაგლეებზე ბიძინა ივანიშვილია, მაგრამ თავის წილ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა გახარიაც. 2019 წლის 20 ივნისს დარბევის ბრძანებას ივანიშვილი გასცემდა. მის გარეშე სისხლიანი დარბევა ვერ მოხდებოდა. თუ გახარიას ეს არ მოსწონდა, თუ ამის წინააღმდეგი იყო, მაშინ გადამდგარიყო. მან ეს არ გააკეთა. კოვიდ-19-ის საბაბით რომ ეკონომიკა დაიქცა, მაშინ პრემიერი იყო გახარია. მას სხვა შეკითხვებზეც მოუწევს პასუხების გაცემა. არ ვიცი, დგას თუ არა ახლა მის უკან ივანიშვილი. იმაში კი არ მეპარება ეჭვი, რომ გახარიას ახალი პარტია რუსეთის პროექტია, ვინც არ უნდა შეიყვანონ პარტიაში. თუ ის მიიღებს მონაწილეობას ადგილობრივ არჩევნებში და წაიღებს „ქართული ოცნების“ ხმებს, ეს დადებითი მოვლენა იქნება. მივალთ ვადამდელ არჩევნებამდე. „ოცნებას“ თავის კობახიძე-მდინარაძეებიანად რეიტინგი გაუნულდა. სხვა სიტუაცია შეიქმნება საპარლამენტო არჩევნებზე. მაშინ შესაძლებელია ყველაფერი დამთავრდეს კოალიციით გახარიას და „ოცნებას“ შორის.

„გაწიკწიკებულ“ საარჩევნო კოდექსს კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს“

მამუკა ტუსკაძე: „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აუცილებლად უნდა დაწესდეს კვალიფიციურობის დამადასტურებელი რაღაც ბარიერი – 1, 2 ან 3%“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი **მამუკა ტუსკაძე** პასუხობს.

–ბატონო მამუკა, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან შეხვედრა გქონდათ. რით იყო ასეთი შეხვედრა განპირობებული?

– პარლამენტს გარეთ დარჩენილი 12 პოლიტიკური ორგანიზაცია შევიკრიბეთ (რომლებიც საპარლამენტო არჩევნებში ვმონაწილეობდით, მაგრამ ბარიერი ვერ გადავლახეთ). გადავწყვიტეთ, ქართულ პოლიტიკაში ჩვენი სიტყვა ვთქვათ, მით უმეტეს, როდესაც ამის საშუალებას უხეირო კანონმდებლობაც კი გვაძლევს.

– მომავალ არჩევნებში თორმეტივე პარტია ერთად აპირებთ მონაწილეობას?

– შესაძლებელია, თორმეტივე ერთად გამოვიდეთ, შეიძლება, დავიყოთ. ახლა მთავარია, რომ 12 ორგანიზაცია ერთ აზრზე ვართ, ვითომ გაწიკწიკებულ ე.წ. საარჩევნო კოდექსს კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს.

– კერძოდ, რა ხარვეზი აქვს?

– ახალ და პატარა პოლიტიკურ ორგანიზაციებს სტიმულს უკარგავს. პარტიამ მომავალ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მილიონი ხმაც რომ მიიღო, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსს მაინც ვერ იძენ, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საყოველთაო არჩევნებად ითვლება, ისევე, როგორც საპარლამენტო არჩევნები. ჩვენი მოთხოვნაა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აუცილებლად დაწესდეს კვალიფიციურობის დამადასტურებელი რაღაც ბარიერი, 1, 2 ან 3%.

პატარა პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარებისთვის ასევე აუცილებელია ბლოკები, რადგან საპარლამენტო არჩევნების დროს 1%-იანი ბარიერის პირობებში 150 ათასი ხმა დაიკარგა, რაც ხელისუფლებამ წაიღო.

ვითხოვთ, მაჟორიტარული არჩევნების დროს თვითმმართველობის არჩევნებში, მაჟორიტარულ ნაწილში 50%-იანი ბარიერი დაწესდეს. შესაბამისად, რაიონსა თუ სოფელში მაჟორიტარი დეპუტატის ან მერის არჩევისას ოპოზიციური ძალები (ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ) პირველ ადგილზე გასულ კანდიდატს მივემხროთ და საკრებულოში ჩვენი წარმომადგენლების გაყვანის შანსი გაგვიჩნდეს.

– 50% პლუს ერთი ხმა უნდა ჰქონდეს თუ უბრალოდ 50%?

– პირველ ადგილზე გასულ კანდიდატს 50% პლუს 1 ხმა თუ არ ექნება, გამარჯვებული ვერ იქნება და პირველ-მეორე ადგილზე გასულ კანდიდატებს შორის მეორე ტური ჩატარდება. ასეთ პირობებში ოპოზიციურ ძალებს დიდი შანსი ექნებათ.

– პარლამენტის თავმჯდომარესთან ამ საკითხებზე ისაუბრეთ?

– დიახ, პარლამენტის თავმჯდომარესთან ამ და კიდევ მრავალ საკითხზე ვისაუბრეთ, რაც საარჩევნო კოდექსს ეხება, ასევე ვისაუბრეთ შარლ მიშელის დოკუმენტის იმპლემენტაციაზე არა მარტო საარჩევნო კოდექსთან, არამედ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით.

პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრა საკმაოდ პოზიტიური იყო. ბატონ კუჭავასთან შეხვედრით არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები კმაყოფილი ვართ. დიდი იმედი გვაქვს, ჩვენს მოთხოვნებს გაითვალისწინებენ. ჯერ მხოლოდ პირველი მოსმენითაა მიღებული. მეორე მოსმენამდე ვენეციის კომისიის დასკვნაც მოუსწრებს.

–კუჭავა დაგპირდათ, რომ იმ საკითხებს, რომლებიც შეხვედრაზე დასვით, გაითვალისწინებენ?

– დიახ, დაგვპირდა.

– ანუ, ვთქვათ, ბლოკების შექმნის საშუალება გექნებათ?

– ბლოკების შექმნა, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, მაჟორიტარის ბარიერი, საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა, ტელემაუწყებლებზე უფრო მეტი დროის გამოყოფა და ბევრი სხვა საკითხი დავსვით. პარლამენტის თავმჯდომარე დაგვპირდა, რომ მეორე მოსმენამდე შესაძლებელი იქნება ამ საკითხების განხილვა. 14 ივნისს ვენეციის კომისიიდან დასკვნას ელოდებიან. მანამდე შესაძლებელი იქნება, ხელისუფლებისაგან პასუხი გვქონდეს.

– კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი ახალ პარტიებს გჭირდებათ.

– კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი სჭირდებათ იმ პარტიებს, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი ვერ გადალახეს.

–ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოპოვებული შედეგების მიხედვით, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მინიჭების გაუქმება მხოლოდ იმ პარტიებს ზღუდავს, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში ბარიერი ვერ გადალახეს, ასევე ახალ პარტიებს, რომლებსაც პოლიტიკურ ბაზარზე შემოსვლა სურთ?

– კი, რესურსები არის. შეგვიძლია, 1-5% მივიღოთ, მაგრამ კვალიფიციური სუბიექტი მაინც არ ვიქნებით, სახელმწიფო არ გვაღიარებს, არ გვექნება მაუწყებელზე მეტი დრო, დაფინანსებას ვერ მივიღებთ, კომისიებში წარმომადგენელი არ გვეყოლება.

თუ ეს საკითხები არ იქნება გათვალისწინებული, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არჩევნებში მონაწილეობა და ფულის ხარჯვა არ უღირს, როცა იცის, რომ ამ არჩევნებიდან სახელმწიფო ხელისუფლების თუ საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან აღიარებას ვერ მიიღებს.

– პარლამენტის თავმჯდომარე შეგპირდათ, რომ კოდექსში ბლოკების შექმნას გაითვალისწინებენ?

– 50/50-ზე. ზოგადად, პარლამენტის თავმჯდომარე მზადაა ფორმულირებაზე, რომ ახალი პოლიტიკური ძალების განვითარებისთვის კარგი იქნება ბლოკების შექმნის უფლება, დაბალი ბარიერი და კვალიფიციური სუბიექტის სტატუსი, მაგრამ...

– დღევანდელ პირობებში ახალი პარტიების შემოსვლა, პირველ რიგში, სახელისუფლებო პარტიას უნდა აწყობდეს, რომ კრიზისები თავიდან აიცილოს.

– კი, უნდა აწყობდეს, მაგრამ ჯერჯერობით სახელისუფლებო პარტიის ოფიციალური პოზიციით, პარტიების განვითარებას ბლოკები ხელს არ უწყობს, პარტიამ თვითონ უნდა მოძებნოს ფინანსური და ადამიანური რესურსი და თვითონ უნდა განვითარდესო.

– კი, მაგრამ საქართველოში ასე რომ არ ხდება? ფინანსური რესურსების მოძებნა ძნელია.

– სწორედ ეს ვთქვით. ზვიად გამსახურდიამაც კი, რომელიც პოპულარობის ზენიტში იყო, ბლოკი გააკეთა და ბლოკის მეშვეობით დაამარცხა კომუნისტები. შემდგომში შევარდნაძეც ბლოკის მეშვეობით იქნა დამარცხებული, „ქართულმა ოცნებამაც“ კოალიცია გააკეთა. თუ არ გვექნება კოალიციისა და ბლოკების შექმნის საშუალება, ე.ი. ხელისუფლება ამბობს, თქვენ აპრიორი არ გექნებათ ხელისუფლების შეცვლის საშუალებაო.

– ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა. თუ შეეცადეთ, საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერა მოგეპოვებინათ?

– კომუნიკაცია გვაქვს როგორც ევროკავშირისა და ამერიკის საელჩოებთან, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან – აირაისთან, ენდიაისთან და სხვებთან. 28 მაისს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა. 12 არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელს აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი შეგვხვდა.

– ვისი ინიციატივა იყო?

– ორმხრივი ინიციატივა იყო. ჩვენი ინიციატივაც გახლდათ და კელი დეგნანმაც არ შეიკავა თავი. ამ შეხვედრაზე, დაგეგმილი 40 წუთის მაგივრად, 2 საათი ვისაუბრეთ. კელი დეგნანი განსაკუთრებით დაინტერესდა ახალი პოლიტიკური ძალების გამოჩენით. სწორედ ამ გამოჩენას ხელს უწყობს დაბალი ბარიერი. რაზეც ვისაუბრეთ პარლამენტის თავმჯდომარესთან, ყველაფერ იმაზე კელი დეგნანთანაც ვისაუბრეთ.

კელი დეგნანმა მხარდაჭერა აღგვითქვა. ყველაფერს გააკეთებს, რომ გარკვეული რეკომენდაცია მისცეს ხელისუფლებას, კერძოდ, იმ ხალხს, რომელსაც ჩვენი თხოვნის კანონმდებლობაში გათვალისწინება ხელეწიფება. განსაკუთრებული იმედებით ვართ, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდება და ახალ და პატარა ძალებს შესაძლებლობა გვექნება, მოვიპოვოთ კვალიფიკაცია. ამისთვის კი ყველა სახელმწიფოსაგან პირობა გვექნება. ეს არის ბლოკების შექმნის უფლება, კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მიღებისა თუ დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობა.

31 მაისს პოლიციელის პროფესიული დღე აღინიშნა

გუშინ, 31 მაისს, თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის წინ, პოლიციის პროფესიულ დღესთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები, პარლამენტარები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები დაესწრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების საზეიმო მსვლელობის შემდეგ, მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა პოლიციელებს პროფესიული დღე მიულოცა და ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართა.

– იყო პოლიციელი – მოითხოვს დიდ ფიზიკურ და სულიერ სიძლიერეს, სამართლიანობას, სიმამაცეს, ოპერატიულობას.

ურთულესია, სახლიდან გასულმა არ იცოდე, შინ დაბრუნდები თუ არა, თუმცა ეს თქვენი გააზრებული არჩევანია და გისურვებთ, რომ ყველას ღირსეულად გეტარებინოთ პოლიციელის მუნდირი და, რაც მთავარია, სამუშაო დღის შემდეგ საკუთარ ოჯახებს მშვიდობით დაბრუნებოდეთ.

ყოველდღიურად იბრძოლო კანონის აღსრულებისთვის, ადამიანების სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დასაცავად – დიდ სიმამაცეს მოითხოვს, თუმცა, ემსახურო შენი ქვეყნის მოქალაქეებს, პასუხისმგებლობასთან ერთად, გამორჩეული საზოგადოებრივი როლია.

პირადად ჩემთვის და პოლიციისთვის, დღეს, ისე, როგორც არასდროს, უმნიშვნელოვანესია ადამიანის სიცოცხლე და მისი ხელშეუხებლობა. პოლიციელის ყოველდღიურ საქმიანობაში კრიმინალთან და დანაშაულთან ბრძოლის დროს ხშირია მომენტი, როდესაც ჩვენ გადაწყვეტილებას ვიღებთ მყისიერად, თუმცა ადამიანის სიცოცხლის დაცვა ამ გადაწყვეტილებების დროს ჩვენი საქმიანობის მთავარი პრინციპია.

პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ჩვენ ერთი წუთით არ შევფერხებულვართ კრიმინალთან უკომპრომისო ბრძოლაში. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, სამინისტროს ყველა დეპარტამენტი ეფექტიანად მოქმედებდა და ვფიქრობ, რომ თითოეული თქვენგანი და, რაც მთავარია, საზოგადოება დამეთანხმება ამაში.

ერთდროულად ვზრუნავთ ქვეყანაში წესრიგსა და უსაფრთხოებაზე, ვიცავთ და ვაკონტროლებთ საზღვრებს, ვებრძვით კრიმინალს, ვიცავთ ადამიანის უფლებებს, ვებრძვით ხანძრებსა და სტიქიებს, ვზრუნავთ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე.

გპირდებით, რომ ყოველთვის ვიქნები თქვენი პატივისა და ღირსების დამცველი, თუმცა, ამავდროულად, მომთხოვნი და ობიექტური.

და ბოლოს, მინდა გულწრფელად გითხრათ – ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რომ ვარ ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრი და თქვენთან ერთად ვემსახურები საქართველოს! – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას და მათ სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრის შემდეგ, პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა და მათ მადლობა გადაუხადა ქვეყნისთვის გაწეული თავდაუზოგავი სამსახურისთვის.

– ჩემთვის დიდი პატივი იყო, ძვირფასო მეგობრებო, თქვენი მინისტრობა, თქვენთან ერთად მუშაობა და თქვენთან ერთად ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მსახურება. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი პერიოდი ჩემს პოლიტიკურ საქმიანობაში. მე ყველზე კარგად გავიგე იმ დროს, თუ რას ნიშნავს, იყო პოლიციელი. მე ძალიან კარგად ვიცი, თუ რაოდენ მძიმე არის თქვენი შრომა, თქვენი 24-საათიანი სამსახური ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე. ამისთვის ჩვენ მადლობას გეუბნებით თქვენ. თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის დამცველები. თქვენ უზრუნველყოფთ ჩვენი ქვეყნისა და მოქალაქეების უსაფრთხოებას, ჩვენი ხალხის, თითოეული მოქალაქის მშვიდ ძილს, კანონის უზენაესობას, საზოგადოებრივ წესრიგს.

სამწუხაროდ, ბევრი თქვენი კოლეგა შეეწირა ამ გმირულ საქმიანობას. ქედს ვიხრი იმ გმირი პოლიციელების ხსოვნის წინაშე, ვინც ყველაზე ძვირფასი, საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ქვეყანას და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ღირსეულად თავი გასწირა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხისთვის. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ ოჯახებს, მშობლებს, მეუღლეებს, შვილებს და მინდა ვუთხრა მათ, რომ სახელმწიფო თქვენ გვერდით დგას. ვიცი რა თქვენი საქმიანობის სიმძიმე, მინდა, გითხრათ, რომ არაფერია იმაზე ძვირფასი, იმაზე მეტად საპატიო, ვიდრე საკუთარი სამშობლოს და საკუთარი ხალხის მსახურება.

სამწუხაროდ, გარკვეული ანტისახელმწიფოებრივი ძალები მუდმივად ცდილობენ პოლიციისა და პოლიციელების საქმიანობის მიზანმიმართულ დისკრედიტაციას, რაც არის ყოვლად დაუშვებელი. სახელმწიფო იქნება უკომპრომისო ყოველი ასეთი მცდელობის მიმართ და ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენი ღირსეული პოლიციელების დისკრედიტაციას. ჩვენ მეტი უნდა გავაკეთოთ თქვენთვის, თქვენი სოციალური პირობების გასუმჯობესებლად, თქვენი სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად. დღეს პოლიცია არის პოლიტიკურად ნეიტრალური უწყება. დღეს ჩვენ გვყავს ძლიერი, გამართული, პროფესიონალი პოლიცია. ამისთვის კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. ჩვენ ვამაყობთ თქვენით. თქვენ გყავთ ღირსეული შინაგან საქმეთა მინისტრი. მინდა, მადლობა ვუთხრა ვახტანგ გომელაურს. თითოეულ პოლიციელს კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას და გისურვებთ წარმატებას. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

***

პოლიციელებს სიტყვით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა.

– მივესალმები ყველა პოლიციელს, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გვიცავენ და იცავენ ქვეყნის უსაფრთხოებას, იცავენ სიმშვიდეს, იცავენ ჩვენს მოქალაქეებს, ძალიან დიდი მადლობა. მინდა, ყველას მოგილოცოთ დღევანდელი პროფესიული დღე. თქვენთან ერთად, დღევანდელ დღეს ვულოცავ ვეტერან პოლიციელებს, ყველას, ვისაც სახელმწიფოს სტაბილურობის დაცვაში წვლილი მიგიძღვით. ამ დღეს,

მსურს, პატივი მივაგო მათ, ვინც სიცოცხლე ან ჯანმრთელობა არ დაიშურა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის. დემოკრატიული, ძლიერი და თავისუფალი სახელმწიფო მხოლოდ მაშინ არის შემდგარი, როცა ქვეყანაში უზრუნველყოფილია მოქალაქეების უსაფრთხოება, დაცულია მათი უფლებები. საქართველოს მიზანი სწორედ ასეთ, დემოკრატიულ, ევროპულ და სტაბილურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მიღწევაში ქართული პოლიციის როლი უდიდესია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წელი გავიდა. ქართულ პოლიციაზე, როგორც სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საყრდენ ინსტიტუტზე, სრულად აირეკლა 3 ათეული წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მნიშვნელოვანი მოვლენები, სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევები და საზოგადოების მოთხოვნები. ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან ერთად, ქართული პოლიციაც დაადგა ევროპისკენ მიმავალ გზას. ძირეული და მასშტაბური რეფორმებისა და თითოეული პოლიციელის დაუღალავი შრომის შედეგად, იგი თანამედროვე და დემოკრატიული სტანდარტების მქონე პოლიციად ჩამოყალიბდა.

დღეს საქართველოს ჰყავს საერთაშორისო სტანდარტების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი პოლიცია, სადაც მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები მუშაობენ. სწორედ ამან განაპირობა საქართველოსა და ევროპოლს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება. ამით ევროპის პოლიციის სამსახურმა აღიარა ქართული პოლიციის სანდოობა და მნიშვნელობა საერთაშორისო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სფეროში. ევროპოლთან სტრატეგიული თანამშრომლობა ნიშნავს ქართული პოლიციის სრულფასოვან ჩართულობას ევროპის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში. ეს ნიშნავს ქართული პოლიციისა და შესაბამისად, საქართველოს მზაობას, ეფექტიანად ებრძოლოს საერთაშორისო დანაშაულს და ამით წვლილი შეიტანოს რეგიონის, ევროპისა და გლობალური უსაფრთხოების გაძლიერებაში, – განაცხადა პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა.

ღონისძიებაზე წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულ პოლიციელთა ხსოვნას.

სალომე ზურაბიშვილმა და ვახტანგ გომელაურმა წარმატებული პოლიციელები დაჯილდოვეს.

პოლიციელის დღის საზეიმო ღონისძიების დასასრულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ოცმა კურსანტმა პოლიციელის ფიცი დადო.

სასამართლომ გიორგი მუმლაძე 1.400 ლარით დააჯარიმა

თბილისის საქალაქო სასამართლომ „მოძრაობა საქართველოსთვის“ წევრი გიორგი მუმლაძე 1400 ლარით დააჯარიმა.

სამოქალაქო აქტივისტის თქმით, „ქართული ოცნება“ ცდილობს მათ მიმართ განახორციელოს პოლიტიკური დევნა და ქუჩაში აქტიურ პროცესებს ჩამოაშორონ. მუმლაძის თქმით, სასამართლომ რაც არ უნდა ჯარიმები დაწეროს, ბრძოლას მაინც გააგრძელებს.

– „ქართული ოცნება“ და სისტემა აგრძელებს ჩვენ დევნას პოლიტიკური ნიშნით. სხვა არაფერი არ ჰქვია ამას თუ არა, თუნდაც დღევანდელ დღეს ჩემი დაჯარიმების ფაქტი. 11 თებერვალს დაიწყეს ჩემ მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება, ეს ეხებოდა „ქართული ოცნების“ ოფისთან გამართულ აქციას. იქ გაკეთებული წარწერების გამო მერიამ 2.000 ლარით დამაჯარიმა და ახლა მოსამართლემ 1.400 ლარით.

იმ დღეს, როდესაც ეს ფაქტი მოხდა, გონება დავკარგე, იმდენად ძალის გადამეტებით ხდებოდა დაკავების ფაქტი.

„ქართული ოცნება“ ცდილობს, ჩვენ მიმართ განახორციელოს პოლიტიკური დევნა, შეგვაშინოს და ჩამოვშორდეთ აქტიურ პროცესებს ქუჩაში. ეს არ მოხდება. რაც არ უნდა ჯარიმები დაწერონ, პატიმრობა და ფიზიკური ძალა გამოიყენონ, ჩვენ ბრძოლას მაინც გავაგრძელებთ, – განაცხადა მუმლაძემ.

„ქმარმა იეჭვიანა, ურემში ხარივით შემაბა და ნაკელი მაზიდვინა“

მძიმე საქმის დეტალები

გახმაურებული ძალადობის გაუხმაურებელი დეტალები საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – „კურიერმა“ ტრაგედიით დასრულებული ძალადობის საქმის მასალები მოიპოვა, რომელიც საკმაოდ მძიმე ფაქტებს შეიცავს.

ძალადობის მსხვერპლი ქალი ჩვენებაში ყვება, რომ მას მეუღლე სასტიკად უსწორდებოდა, მათ შორის, ორსულობის პერიოდში.

ოჯახში მრავალწლიანმა ძალადობამ საბოლოოდ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მათ შორის, ახალშობილი ბავშვის.

„როდესაც ფეხმძიმედ ვიყავი ტყუპებზე, უმიზეზოდ იეჭვიანა, ხარივით შემაბა ურმის უღელში, რითაც საკარმიდამო მიწის ნაკვეთში, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, მაზიდვინა საქონლის ნაკელი, რის შემდეგაც დაღლილობისგან წავიქეცი მიწაზე. მე ვიმშობიარე ტყუპებზე, ორ საათში დაიღუპა ერთი ტყუპისცალი.

...იეჭვიანა ჩემზე ვარცხნილობის გამო და ძალის გამოყენებით დამიჭირა თმებში და შემაჭრა.

... აიღო თავისი კუთვნილი სანადირო ერთლულიანი თოფი და მითხრა, რომ უნდა ესროლა ჩემთვის, თოფის კონდახი რამდენჯერმე დამარტყა თავის არეში. აღნიშნულის გამო გამოვიძახე პოლიცია“ – ყვება ქალი ჩვენებაში.

სადეზინფექციო საშუალებების ფალსიფიკაციის ფაქტები გამოავლინეს

სადეზინფექციო საშუალებების ფალსიფიკაციის ფაქტზე ორი კომპანიის ორი ხელმძღვანელის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აგრძელებს შესაბამის ღონისძიებებს, სადეზინფექციო საშუალებების ფალსიფიკაციის ფაქტების გამოვლენის მიზნით. გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ორი კომპანიის ორი ხელმძღვანელის მიმართ.

გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულში მხილებული კომპანიების ხელმძღვანელი პირები, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წილკანში და თბილისში, სხვადასხვა მისამართზე მდებარე მაღაზიებში და საამქროებში, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატურად ახდენდნენ სხვადასხვა მოცულობის სადეზინფექციო საშუალებების დამზადებას, დაფასოებასა და რეალიზაციას.

სასამართლო განჩინების საფუძველზე, საწარმოებისა და სარეალიზაციო ობიექტების ჩხრეკისას, ამოღებულ იქნა დიდი ოდენობით სარეალიზაციოდ გამზადებული სადეზინფექციო საშუალებები.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ ზემოხსენებული კომპანიების მიერ წარმოებულ სადეზინფექციო საშუალებებს შეცვლილი აქვს თვისობრიობა, პროდუქცია არ შეიცავს ეტიკეტზე მითითებულ ნივთიერებებს და არ აკმაყოფილებს დაავადებათა კონტროლისა და ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ჰიგიენური დასკვნებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის პირველი ნაწილით და 1971 მუხლით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით.

გერმანულის ნაცვლად, ჩინური ტუმბოები დააყენა და 15.150 ლარი მიითვისა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე 3 პირის მიმართ დევნა დაიწყეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, რომელიც იყო ერთ-ერთი კომპანიის ხელმძღვანელი, სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობისას წარადგინა გამოცდილების დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტები და ამავე სამსახურის დაკვეთით განხორციელებული სამუშაოების შესრულებისას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული გერმანული წარმოების წყლის ტუმბოების ნაცვლად, დაამონტაჟა ჩინური წარმოების იაფფასიანი ტუმბოები.



რის შედეგადაც, მოტყუებით დაეუფლა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ 15.150 ლარს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ შემოსავლების სამსახურის ორმა თანამშრომელმა, რომელთაც ევალებოდათ კონტროლი შესრულებულ სამუშაოებზე, შეადგინეს ინსპექტირების ყალბი დასკვნა, თითქოსდა ხსენებული კომპანიის მიერ განხორციელებული მომსახურება შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 და 362-ე მუხლის პირველი ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

ნეთანიაჰუ: „ბენეტი თაღლითია, მემარცხენე მთავრობა ისრაელისთვის სახიფათო იქნება“

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ახალი კოალიციური მთავრობა ქვეყნისთვის სახიფათოა.

მას შემდეგ, რაც ულტრანაციონალისტური პარტიის ლიდერმა, ნაფტალი ბენეტმა განაცხადა, რომ ცენტრისტული პარტიის ლიდერ იაირ ლაპიდთან ერთად კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაზე მოლაპარაკებებს დათანხმდა, ნეთანიაჰუმ მემარჯვენე პოლიტიკოსებს მოუწოდა, მხარი არ დაუჭირონ შეთანხმებას.

– ნუ შექმნით მემარცხენე მთავრობას – ასეთი მთავრობა საფრთხეს უქმნის ისრაელის უსაფრთხოებას და მომავალს, – აღნიშნა ნეთანიაჰუმ.

პრემიერმა ბენეტი, რომელიც ადრე ირწმუნებოდა, რომ იაირ ლაპიდთან გაერთიანებაზე უარს იტყოდა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და საუკუნის თაღლითობაში დაადანაშაულა.

– ყველაფერს გავაკეთებ, რომ შევქმნა ეროვნული ერთიანობის მთავრობა ჩემს მეგობართან, იაირ ლაპიდთან ერთად, – აღნიშნა ულტრანაციონალისტური პარტიის ლიდერმა.

ლაპიდს ახალი მთავრობის ჩამოყალიბებისთვის ვადა 2 ივნისამდე აქვს. წარმატების შემთხვევაში ისრაელში ბენიამინ ნეთანიაჰუს ეპოქა დასრულდება, რომელსაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 12 წელია უკავია.

ოპოზიციის მიერ მიღწეული შეთანხმების მიხედვით, ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნაფტალი ბენეტი გახდება, შემდეგ კი პოსტს იაირ ლაპიდს დაუთმობს.

23 მარტს ისრაელში გამართული საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ბენიამინ ნეთანიაჰუს პარტია „ლიკუდმა“ ქვეყნის 120-ადგილიან პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად საკმარისი რაოდენობის მანდატების მიღება ვერ შეძლო. პრეზიდენტმა რეუვენ რივლინმა მას კოალიციური მთავრობის ფორმირება დაავალა, თუმცა ნეთანიაჰუმ ეს ვერ შეძლო, რის შემდეგაც პრეზიდენტმა ეს დავალება პარტია „ეშ ატიდის“ ლიდერს, იაირ ლაპიდს მისცა, რომლის პარტიაც არჩევნებში მეორე ადგილზე გავიდა.

დუბლინი-კრაკოვის ბორტი ბერლინში ავარიულად დაჯდა

რეინიარის თვითმფრინავმა, რომელიც დუბლინი–კრაკოვის რეისს ასრულებდა, ბერლინის ბრანდენბურგის აეროპორტში ავარიული დაშვება განახორციელა.

ადგილზე ბერლინის ფედერალური პოლიცია მივიდა. პოლიციელებმა თვითმფრინავის უსაფრთხოება შეამოწმეს, მაგრამ საფრთხე ვერ აღმოაჩინეს.

– მგზავრები პოლონეთის მიმართულებით მგზავრობას სხვა თვითმფრინავით გააგრძელებენ, – განაცხადა პოლიციის პრესსპიკერმა მედიასთან საუბარში.

თვითმფრინავის ავარიულად დაშვების გადაწყვეტილების ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

გარდაცვლილი ექიმის ბავშვურმა გატაცებამ მისი ახლობლები მილიონერებად აქცია

კოვიდ-19-გან გარდაცვლილი ექიმის ბავშვურმა გატაცებამ მის ახლობლები მილიონერებად აქცია.

ამერიკის ფლორიდის შტატის მკვიდრი, ნევროლოგი ტომას ნიუმანი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აგროვებდა ბეისბოლის ბარათებს და სხვა სამახსოვრო სპორტულ ნივთებს, თუმცა მისი ოჯახის წევრებს აზრადაც არ მოსდიოდათ თუ სინამდვილეში რამდენად ფასობდა მისი კოლექცია.

ნიუმანი ბეისბოლის ბარათებს ცნობილი სპორტსმენების გამოსახულებით ჯერ კიდევ ბავშვობიდან აგროვებდა, თუმცა მისი კოლექცია, რომელსაც ის ფეხსაცმლის ყუთში ინახავდა, დედამისმა გადააგდო.

1980-იანი წლების დასაწყისში მან გადაწყვიტა ბავშვობის გატაცებას დაბრუნებოდა და მას შემდეგ ყოველი წლის ზაფხულს მოგზაურობდა მთელ ქვეყანაში და კოლექციონერების თავყრილობაში იღებდა მონაწილეობას.

– ისეთ სიამოვნებას არავინ იღებდა კოლექციონერობისგან, როგორც ტომი, – განაცხადა მისმა მეუღლე ნენსიმ.

2021 წლის იანვარში მამაკაცი 73 წლის ასაკში ახალი კორონავირუსის ინფექციის შედეგად გამოწვეული გართულების შედეგად გარდაიცვალა. როდესაც ნიუმანის ოჯახის წევრებმა მის მიერ წლების მანძილზე შეგროვებული ნივთები შეაფასებინეს, გაირკვა, რომ ექიმის კოლექციის ფასი 13 მილიონ დოლარს აღემატებოდა. სპეციალისტების განცხადებით, ნიუმანის კოლექცია ერთ-ერთი საუკეთესოა ისტორიაში.

ქურდებმა უძველესი ციხე-სიმაგრიდან მილიონის ძვირფასეულობა გაიტაცეს

დიდ ბრიტანეთში ქურდებმა უძველეს ციხე-სიმაგრე არუნდელში შეაღწიეს და დაახლოებით მილიონი ფუნტი სტერლინგის ძვირფასეულობა გაიტაცეს.

ბოროტმოქმედებმა ციხე-სიმაგრეში პარასკევს საღამოს შეაღწიეს, როდესაც იქ მხოლოდ ორი მცველი დარჩა. 22:30 საათზე ჩაირთო სიგნალიზაცია. რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდა პოლიცია, მაგრამ ქურდებმა მიმალვა მოასწრეს. ციხე-სიმაგრის მახლობლად ცეცხლწაკიდებული ავტომობილი ნახეს, რომელიც, სავარაუდოდ, ქურდებმა გამოიყენეს.

როგორც გაირკვა, ბოროტმოქმედებმა შენობაში ფანჯრიდან შეაღწიეს. მათ მოახერხეს არა მარტო მცველების ყურადღება არ მიეპყროთ, არამედ გვერდი აევლოთ სათვალთვალო კამერებისთვის, რომელთაგან ზოგიერთი გამორთული აღმოჩნდა. ციხე-სიმაგრიდან დაიკარგა 1587 წელს სიკვდილით დასჯილი, შოტლანდიის დედოფალ მარიამ სტიუარტის მძივები, ასევე ოქროს და ვერცხლის სხვადასხვა ნაკეთობები, რომლებიც ციხე-სიმაგრის იმ ნაწილში იყო გამოფენილი, რომლებიც დამთვალიერებლებისთვის იყო განკუთვნილი.

პოლიცია ეჭვობს, რომ ბოროტმოქმედებს ეხმარებოდა პიროვნება, რომელიც ციხე-სიმაგრე არუნდელის დაცვის თაობაზე დეტალურ ინფორმაციას ფლობდა. როგორც ჩანს, მათთვის ცნობილი იყო თუ სად იყო განთავსებული სათვალთვალო კამერები. გარდა ამისა, მათთვის ისიც იყო ცნობილი, რომ ციხე-სიმაგრის მფლობელი მე-18 ჰერცოგი ნორფოლკი ოჯახთან ერთად ადგილზე არ იმყოფებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

ჩემპიონთა ლიგაზე თბილისის დინამოს სავარაუდო მეტოქეები გაირკვა

ყველა ევროპულ ქვეყანაში დასრულდა ეროვნული ჩემპიონატები. მართალია, ჩვენთან ჯერ ისევ მიმდინარეობს, რადგან ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით სხვა ფორმატი გვაქვს და გაზაფხული-შემოდგომას პრინციპით ვატარებთ, მაგრამ უკვე ცნობილია ის ოთხი გუნდი, რომელიც ევროთასებზე იასპარეზებს.

ჩემპიონთა თასზე თბილისის დინამო ითამაშებს, ხოლო ბათუმის დინამო, გაგრა და გორის დილა საქართველოს სახელს ახალ, კონფერენს ლიგაზე დაიცავენ. ქართული გუნდებიდან განთესილი მარტო თბილისის დინამო იქნება. ცნობილია უკვე 15 სავარაუდო მეტოქე, რომელიც, შესაძლოა, ქართული ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვან გუნდს შეხვდეს.

ესენი არიან: რიგა (ლატვია), ჰიკ (ფინეთი), ლინფილდი (ჩრ. ირლანდია), ფოლა ეში (ლუქსემბურგი), შახტიორი (ბელარუსი), ნეფთჩი (აზერბაიჯანი), მაკაბი (ისრაელი), შემროკი (ირლანდია), ქონაჰი (უელსი), ვალური (ისლანდია), ბოდო გლიმტი (ნორვეგია), მურა (სლოვენია), ტუუტა (აღბანეთი), ბორაცი (ბოსნია-ჰერცეგოვინა) და ჰამრუნი (მალტა).

კიდევ ერთი სავარაუდო მეტოქე პრე-საკვალიფიკაციოს გამარჯვებული იქნება.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 15 ივნისს გაიმართება, პირველი მატჩები კი 6-7 ივლისს ჩატარდება.

ლუჩანო მოჯი: „ჩემი იუვენტუსი ამ იუვენტუსს მოუგებდა“

ტურინის იუვენტუსში არეულობაა. ერთი ის, რომ უეფა ემუქრება და სუპერლიგის მოთავეებს შორის მყოფ გუნდს დისკვალიფიკაციით ემუქრება, ხოლო მეორე საკითხი გუნდში კრიშტიანუ რონალდუს როლია.

გარდა ამისა, გუნდმა გაუშვა მთავარი მწვრთნელი ანდრეა პირლო და ახლა ახალი მწვრთნელის ძიებაშია.

იტალიური მედია იუვენტუსის ყოფილ სპორტულ დირექტორ ლუჩიანო მოჯის დაუკავშირდა და რამდენიმე საკითხზე კომენტარი გააკეთა.

ლუჩიანო მოჯი:

– ალეგრის გამორჩეულად ვაფასებ და მისი გუნდიდან გაშვება დიდი შეცდომა იყო. ვფიქრობ, ახალი ენთუზიაზმით მაქსი წარმატებულად იმუშავებს. მით უმეტეს, 2-წლიანი პაუზის შემდეგ. დარწმუნებული ვარ, ალეგრი საქმის კეთებას ახლა რადიკალურად სხვა სტატუსით და უფლებამოსილებით შეუდგება.

გუნდიდან ფაბიო პარატიჩის წასვლაც უდავოდ დანაკლისია, მაგრამ ვფიქრობ, მხარეებს შორის ჰარმონია აღარ სუფევდა. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც პარატიჩის წასვლა მოუწია.

თავდასხმის ხაზი? პაულო დიბალა ცალსახად უნდა დარჩეს. იდენტური შეხედულება მაქვს ალვარო მორატაზე. აი, კრიშტიანუ რონალდუს საკითხი დიდი განსჯის საგანია.

შეხედეთ ციფრებს... შეხედეთ გატანილი გოლების რაოდენობას... მიხვდებით, რომ იუვემ კოლექტიური თამაში დაკარგა. ყველა ბურთი რონალდუსთან მიდის, რითაც პარტნიორების მონაგარი მკვეთრად შემცირებულია, ვიდრე ეს მანამდე იყო.

დღევანდელი და ჩემი პერიოდის გუნდი? თამამად გეტყვით, რომ განსხვავება კოლოსალურია და ჩემი გუნდი გამარჯვებას აუცილებლად მიაღწევდა. დღევანდელს ბევრი პრობლემა აქვს ნახევარდაცვაში, ხოლო დაცვაში, როდესაც მინდორზე ჯორჯო კიელინი არ არის, საშინელი ქაოსი ხდება. ჩემი პერიოდის შემადგენლობაში ისეთი ბალანსი არსებობდა, სადაც ყველა ზონა იდეალურად იყო დაკომპლექტებული.

ქეთევან კიკნაძე: „ისტორიის გადახაზვა არავის არ ეპატიება“

მსახიობი ქეთევან კიკნაძე ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის სახელწოდების შეცვლას აპროტესტებს:

– ისტორიის გადახაზვა, ან „არცოდნა“, ან ვითომ არ გვესმის, არავის არ ეპატიება. ვერ გავიგე, რას ნიშნავს ახალი თეატრი, ან სახელწოდების შეცვლა, ან შენობების გაცვლა, თვითნებურად, მოკვდა თეატრალური ცხოვრების ისტორია?

სად არის მუსიკისა და დრამის თეატრი, ვასო აბაშიძის სახელობის. ეს რას ნიშნავს! რომელ თეატრსაც გაგირემონტებენ, ახალი თეატრია? თუ ძველი გაარემონტეს და განაახლეს, ეს რა წარწერაა გადაცემის დროს ტელევიზიაში.

თუ ახალი გნებავთ, მაშინ ააშენეთ თქვენი თეატრი და დაარქვით თქვენი სახელი, მე დოიაშვილს პატივს ვცემ ძალზე, მაგრამ ეს უნდა გამოიკვეთოს, როგორც საჭიროა და არა მგონია, მისი მითითებით ყოფილიყოს ეს, თუ ამქვეყნად, საერთოდ არ არის პატრონი და განმკითხავი, ესეც გავიგოთ.

მარინა ჯანაშია მახათას პანთეონში დაკრძალეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ნანა ფაჩუაშვილი, მსახიობი:

– უზომოდ უყვარდა რუსთაველის თეატრი, ფანატიკოსი იყო მარინა თავისი საქმის, ოჯახის, მეგობრების, შვილების... არაჩვეულებრივი არსება, ნაზი ქმნილება, მშვიდი, ლამაზი, არაჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც ძალიან მიესადაგებოდა ჩვენი თეატრის სცენას, კედლებს, კულისებს. ჩემი პარტნიორი იყო „ბერნარდა ალბაში“ და ბოლო მისი სპექტაკლი „დედოფალში“, სადაც მარინა და მე ვთამაშობდით. მაქსიმუმს აკეთებდა იმისთვის, რომ ყველაფერი უმაღლეს დონეზე ყოფილიყო.

რეზო შატაკიშვილი, რეჟისორი:

– მარინა ჯანაშია აღარაა. ის აღარაა, მაგრამ მე თვალებიდან არ ამომივა ღრმა ბავშვობაში ჩაბეჭდილი, თუ როგორ იკრავდა გულში ჯავახიშვილის „თეთრ კურდღელში“ მისი სიდონია მკვდარი შვილის რბილ, სათამაშო კურდღელს...

მერე, 1998 წელს შევხვდი ინტერვიუსთვის. მაშინ „დილის გაზეთში“ ვიწყებდი მუშაობას და სწორედ მარინა ჯანაშიას ინტერვიუთი შევაბიჯე „დილის გაზეთის“ ფურცლებზე. არ დამავიწყდება მისი უშუალობა, ნდობა.

მაშინ რესპონდენტები მათთვის ძვირფას ფოტოებს ატანდნენ ჟურნალისტებს, რომლებსაც, როგორც წესი, უკან აღარ უბრუნებდნენ, ეზარებოდათ დამატებითი მოძრაობის შესრულება და, შესაბამისად, რესპონდენტები დიდ რისკს სწევდნენ, როცა ჟურნალისტს, მით უფრო უცნობს, ფოტოებს ატანდნენ. მახსოვს, როგორ მომცა არაერთი მისთვის ძვირფასი ფოტო და როგორ მითხრა, გენდობი, ვიცი დამიბრუნებ. ის ფოტოებიც დავაბრუნე და მას მერეც მქონდა რამდენჯერმე ინტერვიუ.

შემდეგ უკვე, რეჟისურაში რომ მოვედი, ორჯერ მქონდა მცდელობა მასთან მუშაობის, მაშინ, როცა ჟან ანუის „ქურდების მეჯლისს“ ვდგამდი თავისუფალ თეატრში და შემდეგ, როცა ტენესი უილიამსის „მინის სამხეცეს“ ვდგამდი. შევთანხმდით კიდეც, დავიწყეთ კიდეც, მაგრამ თანამშრომლობა მაინც ვერ მოხერხდა, სამწუხაროდ. ის აღარაა, მაგრამ მე თვალებიდან არ ამომდის და არ ამომივა მისი სიდონია და თეთრი კურდღელი.

მარინა კახიანი, მსახიობი:

– ძალიან ბევრი მაქვს მარინაზე სალაპარაკო, მაგრამ ძალიან მიმძიმს, მასზე წარსულში საუბარი. მარინა ჩემთვის განსაკუთრებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი ცუდად იყო, მძიმე სენი ჰქონდა, მეგონა, რომ არ მოხდებოდა ასე. გარდა იმისა, რომ იყო ულამაზესი, უმშვენიერესი, თითქოს სხვა საუკუნიდან გადმოსულს ჰგავდა, თანაც იყო უძლიერესი ადამიანი. ბოლო სატელეფონო საუბარშიც ვუთხარი, შენ ისეთი ძლიერი ხარ, რა თქმა უნდა, ამ სენს დაამარცხებ-მეთქი. მასაც სჯეროდა და ბოლო წუთამდე დარწმუნებული იყო, რომ დაბრუნდებოდა თეატრში და სცენაზე, იმიტომ, რომ ის იყო მსახიობი და უკიდეგანოდ შეყვარებული თავის პროფესიასა და თეატრზე. ჩემთვის მარინა ჯანაშია ბევრ რამეში იყო მაგალითი, საუკეთესო პარტნიორი და სულიერი მეგობარი.

მსახიობებმა **რეზო ჩხიკვიშვილმა** და **ლევან უჩანეიშვილმა** კი ერთობლივი მიმართვა გაავრცელეს:

– ჩვენო ძვირფასო მარინა, მას შემდეგ, რაც მე და ლევანმა ეს საშინელი ამბავი გავიგეთ, ვცდილობთ ყოველდღე ერთმანეთი ვანუგეშოთ და გავაძლიეროთ, მაგრამ სამწუხაროდ, არ გამოგვდის. ორივეს ძალიან გვიჭირს, ძალიან ძნელია იმის გააზრება, რომ შენ ჩვენს გვერდით აღარა ხარ, ვერ ვეგუებით ამ მწარე სიმართლეს. ვიხსენებთ შენთან გატარებულ დღეებს, წუთებს, თეატრსა თუ კინოში, რისი ბედნიერებაც ორივეს გვხვდა წილად. ეს იქნებოდა „თეთრი კურდღელი“, „ოტელო“, „კუკარაჩა“ თუ „ევრიდიპე“. ვცდილობთ, გვინდა, რომ ხმა მოგაწვდინოთ და იმედია, სადაც ხარ და იქნები, მაინც გაიგებ ჩვენი გულიდან ნათქვამ სიტყვებს, რომ ძალიან გვიყვარხარ და მუდამ გვეყვარები, სანამ ამქვეყნად ვიქნებით, ჩვენო ლამაზო, ნიჭიერო, უსათნოესო, კეთილშობილო, სულით ხორცამდე ჭეშმარიტო ხელოვანო, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ჩვენი ქართული მიწა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს უმცროს ძმას

ზაურ ამბაპოს ძე ბელენავას

1 ივნისს 74 წლის გახდი. მეგისა და კრისტის დროულმა გათხოვებამ დროზე გაგხადა ბაბუა. ჩემო ზაურ, ფეხბურთი გიყვარდა და სიძე მშვენიერი ფეხბურთელი გყავს. გაიხარე და ბედნიერი იყავი ცხოვრებაში.

დაზმირ გელენავა

გიორგი წიტაიშვილმა ქართული პასპორტი აიღო

20 წლის ფეხბურთელმა გიორგი წიტაიშვილმა საქართველოს მოქალაქის პასპორტი მიიღო და ჩვენი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში თამაშის უფლება აქვს. კიევის დინამოს წევრს, გიორგი წიტაიშვილს საქართველოს პასპორტი და ეროვნული ნაკრების მაისური ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა გადასცა.

ახალგაზრდა ფეხბურთელს ტრავმის გამო ბოლო პერიოდი არ უთამაშია და სავარჯიშო პროცესს კლუბთან ერთად უახლოეს პერიოდში განაახლებს. შედეგად, წიტაიშვილი ვილი სანიოლის გუნდს მოახლოებულ ამხანაგურ მატჩებში (2 ივნისს რუმინეთთან და 6 ივნისს ნიდერლანდებთან) ვერ დაეხმარება.

გიორგი წიტაიშვილი:

– საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშის სურვილი ყოველთვის მქონდა, ამის შესახებ მშობლები და ოჯახის წევრები ბევრს მესაუბრებოდნენ. პირველ რიგში კლუბში უნდა ვითამაშო მაღალ დონეზე, რათა ეროვნულ ნაკრებში გამოძახება დავიმსახურო, ჩემი მიზანი სწორედ ესაა. ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, რადგან სეზონი დასრულდა და კლუბი ისვენებს. შეკრებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები და შემეძლება გუნდთან ერთად სრულად დავიტვირთო. ქართველ გულშემატკივარს ერთ რამეს ვპირდები, როდესაც საქართველოს ნაკრების მაისურით მოედანზე გავალ, გუნდის წარმატებისთვის ბოლომდე დავიხარჯები.

წიტაიშვილს უკრაინის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. 2019 წელს კი, ქართველი ფეხბურთელი უკრაინის 20-წლამდე ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ისრაელში

დაბადებულმა წიტაიშვილმა პროფესიული საკლუბო კარიერა კიევის დინამოში დაიწყო, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და 2020-21 წლების სეზონში იჯარის წესით პოლტავის ვორსკლაში თამაშობდა, სადაც ტრავმა მიიღო და სეზონის ბოლო ნაწილი გამოტოვა.

წიტაიშვილის გადაწყვეტილება უკრაინაში ბევრმა არ მოიწონა. თუმცა, არის მედიასაშუალებები, რომლებიც წიტაიშვილის ნაბიჯს გაგებით მოეკიდნენ.

აი, რას წერს უკრაინული მედია:

– სიახლეს იმის შესახებ, რომ წიტაიშვილი საქართველოს ნაკრებში ითამაშებს, უამრავი ნახვა ჰქონდა, მაგრამ ეს ხომ სიახლე არ არის. ამ გადაწყვეტილების შესახებ მანამდეც დაიწერა და, მაშინაც კი, ბევრი სპეციალისტი ირწმუნებოდა, რომ ასეც მოხდებოდა.

ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: პირველი ის, რომ უკრაინის მთავარ გუნდში მოხვედრა იოლი არაა, სადაც უკვე არიან გამოცდილი ფეხბურთელები, მოდიან ახალგაზრდები, კონკურენცია მაღალია და აშკარად ნიჭიერი წიტაიშვილის პერსპექტივაც ბუნდოვანი იყო.

საქართველოს ნაკრებშიც არის მაღალი დონის ფეხბურთელი – ეს ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც მარცხნივ თამაშობს. რაც შეეხება მარჯვნივ – 25 წლის ლევან შენგელია თურქული ქონიასპორის ძირითადის წევრია, მაგრამ ნაკრებში ჯერ თავის გამოჩენა ვერ მოასწრო. საკმაოდ წარმატებულია ანკარაგიუჯუში 26 წლის საბა ლობჟანიძე. ასევე ბათუმის დინამოში მაგარი სეზონი ჰქონდა 28 წლის ჯაბა ჯიღაურს, რომელიც საზღვარგარეთიდან დაბრუნდა. მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკები არა, მაგრამ თავისი ტალანტები საქართველოსაც ჰყავს.

უკრაინის ნაკრებიდან ფეხბურთელის წასვლის ფაქტი ახალი არაა და უწინ არაერთი მსგავსი ქეისი გვინახავს. მაგრამ რით განსხვავდება წიტაიშვილის შემთხვევა? ის არ არის ეთნიკური უკრაინელი, ის ქართველია, რომელიც უკრაინული ფეხბურთის აღზრდილია. ადამიანურად, შეუძლებელია გიორგის ვერ გავუგოთ. ეს მისი წინაპრების სამშობლოა. ქართველი წიტაიშვილისთვის საქართველოსთვის თამაში აბსოლუტურად გამართლებულია. შესაბამისად, წიტაიშვილის გადაწყვეტილებას გაგებით უნდა მოვეკიდოთ.

ეჭვგარეშეა, წიტაიშვილი ნიჭიერია და თუკი ტრავმები და საკლუბო გაურკვევლობა ხელს არ შეუშლის, საქართველოს ნაკრებში თავს წარმოაჩენს. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს უკრაინის ნაკრებისთვის დანაკარგი არაა, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლით აშკარა ფაქტს, რომ თუნდაც ისრაელში დაბადებულ და უკრაინაში გაზრდილ ქართველს, აქვს მორალური უფლება, ითამაშოს საქართველოს ნაკრებში.

ასე რომ, დასკვნები უნდა გამოვიტანოთ, დავიცვათ საკუთარი პოზიციები მსოფლიო ასაკობრივ ფეხბურთში, გიორგის კი წარმატება ვუსურვოთ ჩვენი მეგობარი ქვეყნის ნაკრებში.

ლევან კობიაშვილი: „ჩრდილოეთ მაკედონიასთან მარცხი ალბათ დავიმსახურეთ“

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყოველწლიური ყრილობა ამჯერად სასტუმრო „შერატონში“ გამართა. ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა ლევან კობიაშვილი, რომელმაც საქართველოს ეროვნული ნაკრების შესახებ ისაუბრა.

კობიაშვილმა ჩრდილოეთ მაკედონიასთან წაგებული გადამწყვეტი მატჩი გულისტკივილით გაიხსენა და აღნიშნა, რომ მარცხი სწორად უნდა შეფასდეს, რათა მომავალში გუნდმა მსგავსი შანსი ხელიდან აღარ გაუშვას.

ლევან კობიაშვილი:

– ნამდვილად არ ვაპირებ, არ შევეხო გასულ წელს. ვგულისხმობ იმ ბოლო თამაშს, რომელმაც გული ყველას ძალიან დაგვწყვიტა. ნამდვილად იმედგაცრუებულები ვართ და ეს ის ტკივილია, რომელიც ყოველთვის გაგვყვება. თუმცა, მჯერა, რომ ამ ტკივილსაც მომავალში გამოვასწორებთ. არ მჯერა შემთხვევითობის. მჯერა, რომ რაღაც ვერ გავაკეთეთ, ალბათ არ ვიმსახურებდით, რომ მოგვეგო ის თამაში. შესაბამისად თითოეული ჩვენთაგანი, მათ შორის ფეხბურთელებიც, გუნდის თითოეული წარმომადგენელი და ჩვენც უნდა ვიყოთ თვითკრიტიკულები და დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა – რატომ ვერ გავედით, რა შეცდომა დავუშვით, ვინაიდან ეს მხოლოდ გაგვაძლიერებს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი თამაშები კიდევ გვექნება და სწორი ანალიზი თუ არ გავაკეთეთ და არ ვიყავით თვითკრიტიკულები, წინ ვერ წავალთ.

კობიაშვილმა ეროვნული გუნდის საპირწონედ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასული ფუტსალის ნაკრები მოიყვანა.

– ანალოგიური სიტუაცია იყო ფუტსალშიც, როდესაც რამდენიმე წლის წინ ფლეი ოფში დავმარცხდით, მაგრამ გაკეთდა სწორი ანალიზი, ვიყავით თვითკრიტიკულები და მოვიდა შემდეგი შანსი, რომელიც ჩვენმა ნაკრებმა გამოიყენა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენს ეროვნულ გუნდსაც ექნება შანსი. იცით, რომ ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი მოდის, რომელიც ეროვნულ ნაკრებს აძლიერებს და მომავალშიც გააძლიერებს და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის დღეც დადგება, როდესაც ყველა გავიხარებთ და ვიამაყებთ ჩვენი ეროვნული გუნდით. წარმატებებს ვუსურვებ ჩვენს ნაკრებს.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ფინალში საქართველოს ნაკრები ჩრდილოეთ მაკედონიასთან „დინამო არენაზე“ 0:1 დამარცხდა და ისტორიული შანსი ხელიდან გაუშვა.

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲛᲓᲔ

საქართველოს ნაკრები რუმინეთში ჩავიდა

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები დღეს რუმინეთში ჩავა და 2 ივნისს ამხანაგურად იქაურ ნაკრებს გაეჯიბრება. მზადების ფარგლებში ვილი სანიოლის გუნდმა ბოლოსწინა ვარჯიში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართა, ხოლო ბოლო ვარჯიშზე ისევ ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზას დაუბრუნდა. სანიოლი რუმინეთის შემდეგ ნიდერლანდებს ეწვევა. ამ დროის მანძილზე გუნდი 24 ფეხბურთელით ერთად ემზადებოდა. მხოლოდ გურამ გიორბელიძე, რომელმაც ავსტრიის ბუნდესლიგის კონფერენციის ლიგის ფლეი ოფის განმეორებითი შეხვედრა გამართა, საქართველოში გუშინ ჩამოვიდა. მიმდინარე შეკრებისა და ამხანაგური მატჩების შესახებ კომენტარი ეროვნული ნაკრების მოთამაშეებმა გააკეთეს.

ვაკო გვილია:

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ შეკრებისთვის დიდი დრო გვაქვს. ასეთი შესაძლებლობა იშვიათად გვაქვს, ეს დრო აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ შესათამაშებლად და ახალი ტაქტიკური მონახაზის დასამუშავებლად. შეკრების საწყის ეტაპზე შედარებით მსუბუქი ვარჯიშები გვქონდა, ახლა კი უფრო ინტენსიურად ვემზადებით. პატარა პაუზის შემდეგ კვლავ ფორმაში შევდივართ და ამხანაგურ მატჩებს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით. ნიდერლანდების წინააღმდეგ თამაში ყველა ფეხბურთელისთვის საოცნებოა, მაგრამ ნაკრებში გამართული თითოეული მატჩი, მეტოქის მიუხედავად, საამაყოა. საინტერესო თამაშებს ველოდები, რუმინეთი უხერხული მეტოქეა, ნიდერლანდები კი ძალიან დიდი გუნდია, ასე რომ, ორივე მატჩი ჩვენთვის კარგი გამოცდა იქნება.

გიორგი ბერიძე:

– წინა შეკრებისგან განსხვავებით დიდი დრო გვაქვს და ეს ხელს შეგვიწყობს, რომ კარგად მოვემზადოთ თამაშებისთვის. უფრო გავიცნობთ ერთმანეთს და უფრო კარგად შევთამაშდებით ამხანაგური თამაშებისთვის. როდესაც საქმე ეხება ეროვნულ გუნდს, არ აქვს მნიშვნელობა, თამაში ამხანაგურია თუ ოფიციალური. მოტივაცია მაღალ დონეზეა და ორივე თამაშში წარმატებისთვის ვიბრძოლებთ.

სერგო კუხიანიძე:

– ჩემი გამოძახება მოულოდნელი იყო, ამას არ ველოდი, მაგრამ რადგან მწვრთნელებმა შემარჩიეს, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მათი ნდობა გავამართლო. ძალიან კარგი შეკრება გამოდის, ეს სიტუაცია ჩემთვის უცნობი არაა, რადგან 21-წლამდე ნაკრებში თამაშის გამოცდილება მაქვს. ადაპტაციის პროცესი მარტივად გავიარე, ბიჭებმა კარგად მიმიღეს და ყველაფერში დამეხმარნენ.

საქართველოს ნაკრები რუმინეთში ასეთი შემადგენლობით წავიდა:

მეკარეები: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ), გიორგი მამარდაშვილი (ლოკომოტივი, საქართველო);

მცველები: გურამ კაშია (ლოკომოტივი, საქართველო), ოთარ კაკაბაძე (ტენერიფე, ესპანეთი), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი), დავით ხოჭოლავა (შახტარი, უკრაინა), გურამ გიორბელიძე (ვოლფსბერგერი, ავსტრია), სოლომონ კვირკველია (როტორი, რუსეთი), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ);

ნახევარმცველები: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), გიორგი აბურჯანია (კარტახენა, ესპანეთი), საბა ლობჟანიძე (ანკარაგიუჯიუ, თურქეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო ბთ), ოთარ კიტელიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვაკო გვილია (ლეგია, პოლონეთი), ზურიკო დავითაშვილი (როტორი, რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), ლევან შენგელია (ქონია, თურქეთი);

თავდამსხმელები: თორნიკე ოქრიაშვილი (ანორთოსისი, კვიპროსი), სერგო კუხიანიძე (სამგურალი) გიორგი მიქაუტაძე (სერენი, ბელგია), ბუდუ ზივზივაძე (ფეჰერვარი, უნგრეთი), გიორგი ბერიძე (უიპეშტი, უნგრეთი).

შედეგები

30 მაისი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

მექსიკა-ისლანდია 2:1
მალტა-ჩრ.ირლანდია 0:3
შვეიცარია-აშშ 2:1

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲛᲔ-2 ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘ�გᲐ

ოსნაბრიუკი-ინგოლშტადი 3:1

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ალბასეტე-ფუენლაბრადა 1:2
ალკორკონი-ესპანიოლი 1:0
მალაგა-კასტელონი 3:0
მირანდესი-საბადელი 0:2
პონფერადინა-მალიორკა 2:2
რაიო-ლუგო 0:1
სარაგოსა-ლეგანესი 0:5
ხიხონი-ალმერია 0:2
ლოგრონიესი-ლას პალმასი 0:1
კარტახენა-ხირონა 1:1

ᲡᲐᲤᲮᲘᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲚᲘ�გᲐ 1

ᲤᲚᲔᲘ ᲐᲣᲢᲘ

ნანტი-ტულუზა 0:1

ᲰᲝᲩᲢᲔᲒᲐᲘᲐ. ᲰᲘᲛᲔᲘᲩᲐ ᲚᲘ�გᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲐᲣᲢᲘ

რიუ ავე-არუკა 0:2

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲗᲐ

ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲘ

ვოლფსბერგერი-აუსტრია 1:2

ᲛᲕᲔᲓᲗᲘ. ᲗᲐᲡᲘ

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ჰამარბი-ჰაკენი 0:0 (5:4პ)

ᲜᲝᲩᲕᲔᲒᲘᲐ. ᲔᲚᲘᲢᲡᲔᲠᲘᲐ

მიონდალენი-მიოლდე 0:0
ბრანი-სტრომგოდსეტი 3:0
ვალერენგა-სანდერფიორდი 3:1
კრისტიანსუნდი-ლილესტრიომი .. 1:0
ოდ გრელანდი-ბოდო გლიმტი 1:0
რუსენბორგი-სტაბეკი 4:2
ტრომსო-სტრომგოდსეტი 0:2
ჰაუგესუნდი-ვიკინგი 4:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲯᲮᲝᲡᲕᲝᲰᲔᲑᲘ Ბ



შვეულად: 1. ცხენების შემსწავლელი მეცნიერება; 2. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია; 3. ირლანდიური ლუდი; 4. კათოლიკური ჯვარი; 5. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 11. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 12. მაღალზურგიანი დივანი; 14. ღვინის ჩამომსხმელი, მერიქიფე; 16. ძვირფასი სარეწაო თევზი; 17. გადასახადებისგან განთავისუფლებული ყმა ძველად საქართველოში; 19. რომელიმე ენის სიტყვების მარაგი; 21. წვრილი წვიმა; 22. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 6. მეშახტეთა შორის გავრცელებული ფილტვების სპეციფიკური დაავადება; 7. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. პროფესიონალი ცხენოსანი; 9. კვანტური მექანიკის ფუძემდებელი, გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. რაიმე ელემენტების თანაბარზომიერი, პერიოდული მონაცვლეობა; 15. გარკვეული ზომის ყუთი, შეუფუთავი ტვირთის გადასაზიდად; 18. პატარა, სამკუთხა ალამი; 20. ჯიხვების ჯოგი; 21. თხელი, ფურცლოვანი რკინა; 23. ჯარების განლაგება ქვეყნის ტერიტორიაზე; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ნაბადი; 2. ლემა; 3. რევოკაცია; 4. ოსუმი; 5. ბოზბაში; 8. ძღვენი; 9. დისკოთეკა; 12. პალაცო; 14. რიშარი; 16. აბაშა.

თარაზულად: 1. ნოსტალგია; 6. ნეგრესკო; 7. ბარძიმი; 9. დიჟონი; 10. რიწა; 11. ხემლისი; 13. ფერმი; 15. ვალიზა; 17. ხალვაში; 18. ლამარა; 19. პიარნუ; 20. ჯაკარტა.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. მეტელი. 2. გრეგორი; 3. კაპიტალი; 4. ლუგანსკი; 8. სუბმარინა; 9. კარბონადო; 11. სპეტაკი; 12. გეტა; 14. არგო; 16. პერკუსია; 17. კალაჰარი; 19. დომინო; 21. რისკი.

თარაზულად: 5. ბატიბუტი; 6. დელაკრუა; 7. პოლიგლოტი; 10. ჩაქურა; 13. ვერიკო; 15. სტატორი; 18. ვეზირი; 20. ნადალი; 22. ეჩმიადინი; 23. სიტროენი; 24. ეკვადორი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2688

ევრო — 3.9843

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6329

100 რუსული რუბლი — 4.4516

ამინდის პროგნოზი 1 ივნისისათვის

სერხიო აგუერო ბარსელონას ფეხბურთელია

არგენტინელი ფორვარდი სერხიო აგუერო ოფიციალურად ბარსელონას ფეხბურთელია. ის უკვე კატალონიის დედაქალაქში იმყოფება, სადაც უახლოეს დღეებში ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

აგუერო ბარსელონას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება.

არგენტინელი ფორვარდის თქმით, მას ყოველთვის სურდა მესის გვერდით თამაში.

სერხიომ მანჩესტერ სიტიში 10 წელი გაატარა და ის გუნდის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება.



ალეგრი იუვენტუსში ცვლილებებს აპირებს

ტურინის იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი მასიმილიანო ალეგრი გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელის დამატებას აპირებს და შესაძლოა ალეგრიმ რამდენიმე მოთამაშეს კარისკენაც მიუთითოს, თუმცა ჯერჯერობით კონკრეტული სახელები ცნობილი არ არის. ალეგრიმ განაცხადა, რომ მას სურს რონალდუს გუნდში დარჩენა და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ პორტუგალიელი იუვენტუსიდან არ წავიდეს.

ტუჰელი მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს



ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა ტომას ტუჰელმა განაცხადა, რომ ის ამაყობს თავისი გუნდით, მაგრამ მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს, რადგან ჩელსის უფრო მეტი პოტენციალი აქვს და შეუძლია ტიტულებისთვის ბრძოლა. ტუჰელის აზრით, ჩელსის წლევანდელი წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა:

– მინდა ყველა გულშემატკივარს დავპირდე, რომ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას და ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ძალა ინგლისშიც ვაჩვენოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

მყვინთავმა პარაუნით ვეფხვისებური ზვიგენის თავდასხმა მოიგერია

ავსტრალიაში სამმეტრიანი ვეფხვისებური ზვიგენი მყვინთავს თავს დაესხა. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც 48 წლის ბრეტ ჰაილენდსი და მისი მეგობრები დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ბრუმის რაიონში წყალქვეშ ნადირობით იყვნენ დაკავებულები. მტაცებელმა თევზმა მამაკაცს ორჯერ უკბინა ხელზე, თუმცა მან მისი მოგერიება ჰარპუნის დახმარებით მოახერხა. ზვიგენის თავიდან მოშორების შემდეგ ჰაილენდსმა ცალი ხელით გაცურა ნაპირისკენ.

– მე უბრალოდ ზურგულით მივცურავდი და დროდადრო წყლის სიღრმეში ვიყურებოდი, რათა დამენახა, ზვიგენი ხომ არ ბრუნდებოდა, – იხსენებს ჰაილენდსი.

ნაპირზე მეგობრებმა დაშავებულს ქამრები გადაუჭირეს ხელზე სისხლდენის შესაჩერებლად, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ზვიგენის თავდასხმის შედეგად მამაკაცს იარები დარჩა წინამხარსა და ხელის მტევანზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

1 ივნისისათვის

ვერძი – შესაფერისი დროა გარემოს შეცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კურო** – უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **ტყუპები** – გარშემომყოფებს მეტი სითბო აჩუქეთ. გულისხმიერება, დათმობა, მიტევება დღის დევიზია. **კირჩხიბი** – გადაღლილი ხართ. დაისვენეთ. ემოციები მოთოკეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **ლომი** – ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ქალწული** – ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **სასწორი** – აფორიაქებული ხართ. საქმიანი პარტნიორის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას უცებ ნუ დათანხმდებით. **ღრიანკალი** – პირადი ცხოვრებით უკმაყოფილო ხართ. დროა, პარტნიორთან ურთიერთობაში კორექტივები შეიტანოთ, ოღონდ ისე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალოთ. **მშვილდოსანი** – ნებისმიერ სფეროში დიდი წინდახედულობა გმართებთ. ერიდეთ კონფლიქტს ხელმძღვანელობასთან. **თხის რქა** – თქვენი ავტორიტეტი საფრთხის ქვეშ არის. კრიტიკას მეტისმეტად მტკივნეულად ნუ მიიღებთ. მშვიდად იყავით. **მერწყული** – საკუთარ პრინციპებს ნუ უღალატებთ. მატერიალური მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც გგონიათ, თუმცა ფულს იოლად მაინც ნუ გაფლანგავთ. **თევზები** – ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ნეტა მართალია, რომ ადამიანები მაიმუნებისგან ევოლუციის გზით წარმოიშვნენ?

– ახლა იქნებ ისიც მითხრა, რომ დედამიწა მრგვალია!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რა გჭირს, რას გიგავს სახე?

– ეეჰ, ჩვეულებრივი მზიანი დღე იყო, თითქოსდა უბედურებას არაფერი მოასწავებდა და ამ დროს ცოლი მეკითხება: „მსუქანი ვარ?“...

•••

ღამით კარზე კაკუნის ხმა ისმის. ქალი კითხულობს:

– ვინ არის?

– მე ვარ, გივი!

– ისევ უხამსობას და ხელების ფათურს აპირებ?

– რა თქმა უნდა!

– ერთ წამს დამელოდეთ, გასაღებს ვნახავ...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ გვაიძულებენ ქუჩაშიც ნიღაბის ტარებას?

– კორონავირუსმა რომ ვერ გვიცნოს.

•••

სახლში გასეირნებიდან დაბრუნდა დედა შვილთან ერთად. ბავშვს ხელში დიდი რაოდენობით საჰაერო ბუშტები უჭირავს. ქმარი ცოლს ეუბნება:

– რა ამბავი ბუშტები გიყიდია? ბევრი ფული გქონდა?

ბავშვმა დედას დაასწრო და მამას უპასუხა:

– ეს ბუშტები მაჩუქეს...

– რისთვის?

– თითო დედიკოს მიერ გაკეთებული ყოველი შენაძენისთვის!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანუკი არეშიძე საბავშვო კოლექციას წარადგენს

დიზაინერი ანუკი არეშიძე პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საბავშვო კოლექციას წარმოგვიდგენს.

„ნიკოლას“ – ასე ჰქვია ბრენდს, რომელიც ახალი ქართული საბავშვო ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და აქსესუარების ბრენდია. ეს სახელი დიზაინერმა თავის ბრენდს მეოთხე შვილის ნიკოლოს სიყვარულით დაარქვა.

კოლექცია ხელმისაწვდომი იქნება 1 ივნისს, ბავშვთა საერთაშორისო დღეს! პირველ ეტაპზე, პროდუქცია გაიყიდება მხოლოდ ანუკის ონლაინ მაღაზიაში, ფიზიკური მაღაზია კი მოგვიანებით გაიხსნება.

ჯანო იზორია გოგონას მამა გახდა

მსახიობი ჯანო იზორია და მისი მეუღლე გვანცა ბადურაშვილი გოგონას მშობლები გახდნენ.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. პატარას მშობლებმა თებე დაარქვეს.

მსახიობისთვის ეს მეორე შვილია. მას უფროსი გოგონა ევა ჰყავს.

„მასტერშეფის“ ფინალისტები ცნობილია

კულინარიული შოუ „მასტერშეფის“ მეხუთე სეზონი დასასრულს მიუახლოვდა. შოუს ჟიურიმ – ლუკა ნაჭყებიამ, კონსტანტინე თედელურმა და ლევან კობიაშვილმა – 5 ნახევარფინალისტიდან 3 ფინალისტი დაასახელა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, „მასტერშეფში“ გამარჯვებისთვის საუკეთესოზე საუკეთესო კერძებს მოამზადებენ იოსი კაკიაშვილი, დიმიტრი შარაშიძე და ნინო ვარშანიძე. ფინალში ვერ გადავიდნენ თამაზ დავრაშვილი და ბექა ქოსაშვილი. ისინი შოუს ნახევარფინალიდან გამოეთიშნენ.

ვინ გახდება ყველაზე რეიტინგული კულინარიული შოუს მეხუთე სეზონის გამარჯვებული, ამას ათასობით მაყურებელი მომავალ კვირას შეიტყობს.

ქართველ ქალ მოჭადრაკეებზე გადაღებული ფილმი კინოთეატრებში გამოვა

„დიდება დედოფალს“ – ასე ეწოდება ფილმს, რომელიც 4 ივნისიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვა.

ფილმი ცნობილი ქართველი ქალი მოჭადრაკეების შესახებ არის გადაღებული და ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, მაია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის შესახებ მოგვითხრობს.

ცივი ომის ეპოქაში ამ ლეგენდარულმა მოჭადრაკეებმა რევოლუცია მოახდინეს და ქალთა ჭადრაკი საერთაშორისო კონტექსტში ვაჟთა ჭადრაკს გაუთანასწორეს. ფილმი ჭადრაკის ტიტულებს მიღმა არსებულ მათ ბიოგრაფიებსაც შეეხება, რაც მაყურებელში კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს.

მარინა ჯანაშია მახათას პანთეონში დაკრძალეს



მსახიობი მარინა ჯანაშია 71 წლის ასაკში მძიმე სენთან ბრძოლაში დამარცხდა და გარდაიცვალა. მასთან გამომშვიდობება რუსთაველის ეროვნულ თეატრში ნებისმიერ მსურველს შეეძლო. მარინა ჯანაშია უკანასკნელ გზაზე გააცილეს კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, უახლოესმა ადამიანებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა და რიგითმა მაყურებლებმა. მსახიობი მშობლიური თეატრიდან ტაშის თანხლებით გამოასვენეს და მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ჟანრი ლოლაშვილი, მსახიობი:

– მადლობა მარინას მეგობრობისთვის. ფრიად გამორჩეული მსახიობი იყო, ყველა დამეთანხმება. გამორჩეული ხმა – მარინას ხმა, რომლის გამოც ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია დუბლიაჟის სფეროში. სამწუხაროა, რაც მოხდა, მინდა გაღიმებული სახეები გვქონდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს ვერ ვიზამთ.

ქეთი დოლიძე, რეჟისორი:

– ჩვენი 48-წლიანი მეგობრობის განმავლობაში ეს არის პირველი უდიდესი ტკივილი, რომელიც მარინამ მომაყენა. მეგონა, რომ მოერეოდა, სულ ერთად ვიქნებოდით ღრმა მოხუცებულობამდე, მაგრამ... როცა ღმერთი დამიძახებს, ბევრად გამიადვილდება, რადგან ეს გზა მარინამ გაკვალა ჩემმა უძვირფასესმა და უკეთილესმა მეგობარმა.

რობერტ სტურუა, რეჟისორი:

– გული მომიკვდა! მე კი მეგონა, გული აღარ მაქვს, რა ხანია მომიკლეს მეთქი...

და თურმე ნუ იტყვი – დარჩენილი დრო მარინამ თან წაიღო...

გოშა გორგოშიძე, რეჟისორი:

– შეუდარებელი მარინა ჯანაშია – სტუდენტობიდან მიყვარდა მისი როლები. „თეთრი კურდღელი“ უდიდესი შთაბეჭდილება იყო, რომ დამამუნჯა, ისეთი. როცა ეს საოცარი ადამიანი გავიცანი, აღფრთოვანება გაორმაგდა. უბრალოება, სითბო, თავმდაბლობა და ბევრი ტკივილის მიუხედავად ან სწორედ ამის გამო, საოცარი ოპტიმიზმი და სიბრძნე. მასთან მუშაობა ხომ საერთოდ ბედნიერება იყო. როგორ შეეძლო მუშაობა და რა ზუსტად გრძნობდა, რა უნდა მომხდარიყო სცენაზე! ეს იშვიათია. მხარდაჭერა და გულშემატკივრობაც ასე მხოლოდ მან იცოდა.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ხალხური თქმულება, ლეგენდა; 2. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 3. მონასტერი ოჩამჩირის რაიონში; 4. ფეხსაცმლის საპირედ გამოყენებული მაღალხარისხოვანი თიკნის ტყავი; 5. ფულის გამოძალვა; 6. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. სანადირო თოფებისა და ავტომატური შაშხანების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრიწყაროს რაიონში; 14. ძლიერი სულიერი განცდის გამოვლინება; 15. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 16. სილვესტერ სტალონეს კინოროლი.

თარაზულად: 1. ტიბეტური დიდი ტანის ძაღლი; 4. ფრანგული ლიქიორი; 7. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 9. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 12. ქართველი მწერალი, რომან „რკინის თეატრის“ ავტორი; 13. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 14. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 17. ფულის გამოშვება; 18. ავადმყოფური მიდრეკილება ქურდობისადმი; 19. პატარა სამკუთხედი ალამი; 20. შუამავალი სავაჭრო გარიგებაში ძველად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა